ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 11 (64). ხუთშაბათი, 29 მარტი, 1945 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერში:

— შემოქმედებითი წარმატების გზით (მოწინავე).
— წიგნები ფრონტზე.
— **გიორგი ლეონიძე**—ქართლის ცხოვრება (ლექსები).
— **გიორგი ქუჩიშვილი**—სტუმრად შავ ზღვასთან, სასიხარულო (ლექსები).
— **დ. შოსტაკოვიჩი** — ქართველი მუსიკოსები.
— **დემნა შენგელაია**—მოლოდინი (მოთხრობა).
— **ალექსანდრე ქუთათელი** — შემოდგომა (ლექსი).
— **გერონტი ქიქოძე** — ნიკოლოზ ბარათაშვილი.
— **გრ. ჩიქოვანი** — სიცოცხლის გზა (მოთხრობა).
— **ილია მაისურაძე** — „ქართული ხელოვნების ისტორია“.
— **დ. ქუმსიშვილი** — დაბრუნება (მოთხრობა).
— **ქრ. შარაშიძე** — მოსკოვის ქართული სტამბა.
— უცხოეთის ამბები: ფილმი „კუტუზოვი“ ამერიკაში; პარიზის ხელოვნების აღორძინება.
— ვიაჩესლავ შიშკოვის გარდაცვალების გამო.
— ქრონიკა და ინფორმაცია.

შემოქმედებითი წარმატების გზით

საბჭოთა მწერლობა ყველაზე უფრო მოწინავეა მთელ მსოფლიოში. არც ერთი ქვეყნის მწერლობა დღეს ისე მჭიდროდ და ორგანიულად არ არის დაკავშირებული თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან, მის ცხოველმყოფელ სულთან, როგორც საბჭოთა მწერლობა.

ქართველი საბჭოთა მწერლები უდიდესი პატრიოტული აღტაცებით ჰქმნიდნენ და ჰქმნიან გმირული სულისკვეთებით გამსჭვალულ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელშიც თანამედროვე მკითხველი და მომავალი თაობები ჩვენი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ სიმართლეს ამოიკითხავენ. ამ მიღწევებმა დიდი პოპულარობა მოუპოვეს ქართულ საბჭოთა მწერლობას მთელს კავშირში.

როდესაც ჩვენი ლიტერატურის სამამულო ომის დროის მიღწევებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება განსაკუთრებული კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ ის შემოქმედებითი აქტივობა, რომელიც გვიჩვენეს ქართველმა დრამატურგებმა მიმდინარე სეზონში.

ომის პირველ წლებში ქართველმა დრამატურგებმა სწრაფად ვერ გარდაქმნეს თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა ომის დროის ამოცანების შესაბამისად, უცბად ვერ მოახერხეს ღრმად გამოხმაურებოდნენ იმ თემებს, რომლებსაც თანამედროვეობა უყენებდა მათ. ისინი უმთავრესად ისტორიულმა მასალამ გაიტაცა. ცხადია ჩვენი ხალხის წარსული, მისი საუკეთესო ტრადიციები განუყრელად არიან დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ცხოვრებასთან. სოციალიზმის ქვეყანა, საბჭოთა ადამიანები ჭეშმარიტი მემკვიდრენი არიან ყოველივე საუკეთესოსი, რაც კი შეუქმნია ხალხს უახლოესსა და შორეულ წარსულში. ჩვენი ხალხის ისტორიული პატრიოტიზმი უშუალოდ ეხმაურება გმირულ საბჭოთა პატრიოტიზმს. მაგრამ მთავარი თემა საბჭოთა ლიტერატურისა, როგორც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და უაღრესად სახალხო ლიტერატურისა, — თანამედროვე ცხოვრებაა. საბჭოთა მწერლის მთავარი ამოცანაა დაგვიხატოს ფრონტისა და ზურგის გმირი საბჭოთა ადამიანები, — ის ადამიანები, რომელთაც დაამარცხეს ფაშისტური მხეცი და მას მისსავე ბუნაგში სპობენ.

სამამულო ომის დროის საბჭოთა დრამატურგიაში თანამედროვეობის თემას მთავარი ადგილი უნდა ეჭიროს.

და მართლაც უკანასკნელ ხანებში ჩვენს დრამატურგიულ მწერლობაში დაიწყო დიდი შემოქმედებითი აღმავლობა, პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად წინაპლანზე წამოწეული იქნა სამამულო ომის დროის თემატიკა, — ფრონტისა და ზურგის მებრძოლ ადამიანთა ცხოვრება და ბრძოლა, მათი მგზნებარე პატრიოტიზმი და უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი.

ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი დრამატურგიული ნაწარმოებისა, რომლებიც შეიქმნა ომის პერიოდში, კერძოდ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე და რომელთა ნაწილიც უკვე განახორციელეს ჩვენმა მოწინავე თეატრებმა. ასეთებია ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, ს. შანშიაშვილის „ხევის ბერი გოჩა“, იონა ვაკელის „თამარ მეფე“, ა. სამსონიას „ბაგრატიონი“, მ. ჯაფარიძის „ქამთაბერის ასული“, კ. კალაძის „ერთი ღამის კომედია“, გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა“, ვ. გაბესკირიას „ის კაცი“ გრ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, ლ. გოთუას „სიცოცხლის ძალა“, ნ. მიქავას და გ. აბაშიძის „მსახიობის სიყვარული“ და სხვ. მთელი რიგი დრამატურგებისა გაცხოველებით მუშაობენ ახალ პიესებზე.

რაც მთავარია, დასახელებულ პიესებიდან უმრავლესობა ეხება თანამედროვე თემას, ამ პიესებში ფრონტისა და ზურგის ცხოვრება გაცილებით ღრმად არის განცდილი და ასახული, ვიდრე ეს სამამულო ომის პირველი წლების ლიტერატურაში გვხვდება. ჩვენმა მწერლებმა, მათ შორის დრამატურგებმაც, უდიდესი გამოცდილება და უშუალო შთაბეჭდილებები დააგროვეს, რაც აუცილებლად საჭიროა ფართო მხატვრული ტილოების შესაქმნელად. ისინი ახლა შედარებით თავისუფლად ფლობენ თანამედროვეობის გმირულ სიუჟეტებს, დრამატიულ კოლიზიებსა და ნათელ, ღრმა და დასრულებულ სახეებს. ამიტომ ის ძლიერი გაქანება, რომელიც დაიწყო ქართველ დრამატურგთა შემოქმედებითი ცხოვრებაში — უაღრესად კანონზომიერი მოვლენაა.

აქვე არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ და განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ აგრეთვე უკანასკნელი პერიოდის დრამატურგიის ჟანრობრივი მრავალფეროვნება. დრამების გვერდით თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ კომედიებს, რომელთაგან უმრავლესობა თანამედროვე თემაზეა დაწერილი. ეს ჟანრობრივი მრავალფეროვნება მოწმობს ჩვენი დრამატურგიის იდეურ და მხატვრულ სრულყოფილობას, იგი წარმოადგენს მისი შემდგომი ძლიერი აღმავლობის ჯანსაღ საწყისს.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თითქმის ყველაფერი უკვე გაკეთებული გვქონდეს. ამ მიღწევებს ჩვენ უნდა შევხედოთ, როგორც ახალი ეტაპის მნიშვნელოვან დასაწყისს, რომელიც ფართო პერსპექტივებს შლის ნაციონალური დრამატურგის შემდგომი აღორძინებისათვის.

ომის წლებში გაიზარდა ლიტერატურა, მაგრამ კიდევ უფრო გაიზარდა ის მოთხოვნილება, რომელსაც მას ხალხი უყენებს. საჭიროა მწერალმა უფრო ღრმად განიცადოს და შეიცნოს თანამედროვე ადამიანის მდიდარი, შინაგანი ფსიქოლოგიური ქვეყანა, უფრო სრულყოფილად ასახოს ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები, რომელთაც ისტორიამ პროგრესიული კაცობრიობის ბედი ჩააბარა და რომელთაც ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულეს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ზემოდ აღნიშნული მიღწევები თავდებია იმისა, რომ ჩვენი მწერლობა შეჰქმნის გამარჯვებული გმირი ხალხის შესაფერ ლიტერატურას, რომელშიც ბრწყინვალედ აისახება **ლენინ-სტალინის** პარტიის დიადი საკაცობრიო იდეები.

წიგნები ფრონტზე

ეს შემთხვევა მოხდა დასავლეთის ფრონტზე, იმ ხანებში, როცა ქალაქ კლინის განთავისუფლების დროს ჩვენმა ჯარებმა მტრის სატანკო და მოტორიზებული ქვეითი ჯარის დივიზიები გაანადგურეს. ერთ-ერთ წითელარმიელს ბრძოლის დროს უბეში ბოლომდე წაუკითხავი რომანი ედო. ნაღმის ნალეწმა ფარაჯა გასჭრა და წიგნიც თითქმის უკანასკნელ ფურცლამდე დაფლითა, ხოლო კაცი უვნებლად გადარჩა.

ის წითელარმიელი იყო ქართველი, ალექსი მნათობლიშვილი, ხოლო წიგნი — ანა ანტონოვსკაიას რომანი „დიდი მოურავი“.

მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება წიგნები, რომლებიც მუზეუმის მეცნიერულმა თანამშრომლებმა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოაგროვეს. ეს არის საყვარელი წიგნები ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურებისა, რომლებიც მათ თან დაჰქონდათ თავისი მძიმე და სახელოვანი ბრძოლის გზებზე. ამ წიგნებს შორის არის ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ვლ. მაიაკოვსკის ლექსების ერთტომეული, რომელიც ნაღმის ნამსხვრევს დაუფლეთია, ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, მ. გორკის წიგნები და სხვ.

ამ წიგნებზე ფრიად საინტერესო წარწერებია. ნ. ოსტროვსკის წიგნზე — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ წარწერილია: „ეს წიგნი წაიკითხა ქვეგანაყოფის ყველა მებრძოლმა და მეთაურმა. იგი მთელი პირადი შემადგენლობისათვის საყვარელი წიგნია და მან წითელფლოტელებთან ერთად გაიარა გზა პერეკოპიდან ნოვოროსისკამდე 1941 წლის 11 სექტემბრიდან 1943 წლის 3 სექტემბრამდე“.

მაიაკოვსკის ლექსების ერთტომეულიც მეზღვაურების ნაქონია. მასზე ასეთი წარწერაა: „ეს მთელი პირადი შემადგენლობისათვის საყვარელი წიგნი, ბრძოლებისა და ლაშქრობის თანამგზავრი, თან დაჰქონდა სატორპედო კატერზე — ყველა ბრძოლის დროს. 1942 წლის ივნისში, აზოვის ზღვაზე ბრძოლებში, როცა კატერი იღუპებოდა — ეს წიგნი გადაარჩინეს მეზღვაურებმა“.

საინტერესოა წარწერა გორკის მოთხრობების ერთტომეულზე: „გთხოვთ შეინახოთ ეს წიგნი, როგორც ჩვენი საბრძოლო ისტორიის რელიკვია. მასთან ერთად ჩვენ ვიცავდით ქალაქებს — სევასტოპოლს და ნოვოროსისკს, მასთან ერთად ვიცავდით კავკასიის სანაპიროებს“.

წიგნი განუყრელი თანამგზავრია ჩვენი მებრძოლისათვის, იგი კიდევ უფრო აღრმავებს მათ შეგნებაში სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, უფრო აძლიერებს მტრისადმი განუზომელ სიძულვილს.

გიორგი ლეონიძე

ქართლის ცხოვრება

ქართლო!

…„ესე ქვეში (სოფელია ქართლში. გ. ლ.) სრულიად უსჯულოთაგან ამოწყვეტილი და დაოხრებული არის.
„არა თუ სულიერი კაცი იპოებოდეს, ყოველივე შენებულება არ იპოების“.
1443 წ. სიგელი თაყა ზევდგინიძისა.

…„გებრძანებინათ, კასპს შენობას ვაპირობთ… კასპელი კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილია“.
1740 წ. წერილი ამილახვრისადმი.

ვინ დაგალამა, ვინ დაგასისხლა,
და შენს აკლებას, ცემას, გვემათა,
ამოწყვეტილო, გავერნებულო,
ვისი რა ტანჯვა გადაემატა.

მაგრამ არ შესწყდა ერდოში ბოლი,
თუმცა სიკვდილმა მრავალგზის ჰკრძალა;
შენ გაგიმარჯოს, დაუძლეველო,
ქართლის ცხოვრების სიცოცხლის ძალავ!

ქართლო, თუ შენი დიდი წარსული
თავგანწირული ბრძოლის მტვერია,
შენს შვილს უჭირავს დღეს ქვეყნის დროშა,
ქვეყანა შენი დამნატვრელია!

მესხი ვარ

მესხი ვარ. ვანთე მე სხივი,
მესხმა შესხმა ვსთქვი ახალი,
მტერი დამესხა, დავძლიე,
ვიყავი სახელმაღალი.

მესხმა დავასხი ვენახი,
კლდეებში ვკაფე ტაძარი,
წიგნი დავწერე ვეფხვისა,
მიგ სიყვარული დავძარი.

ხელში ეტრატი მეჭირა
და გულში მეჯდა ბულბული,
მესხი ვარ, ვანთე მე სხივი,
ვაშუქე გადაღრუბლული.

თავს გარდავივლე სამასწლის
ქარიშხალთ ლეწა მტვრევანი
და ჩემგან დარჩა სახსოვრად
ხეზე გასული მტევანი;

ნანგრევთა შორის ჩუქურთმა,
დამშრალი საწნახელები,
ტანზედ ამესხა ჭრილობა,
გულზე დამიწყეს ხელები.

და თუ დატრამლდა სახლკარი,
თვალს დამეფარა უკუნი,
დათხრილი საძირკველიდან
ისევ გაისმა გუგუნი!

ისევ აღვსდექი, მესხი ვარ,
მზე ახლად გადმომესხივა, —
ისევ დავბრუნდი მამულში
არტანუჯელი, თმოგველი,
ჩამქრალი თონე ავანთე,
ახალო რთველო, მოგელი!

ღარზე დაიძრას მაჭარი,
დამსხვილდეს პურის თაველი,
დადგით მესხეთში აკვნები,
გამოჩნდეს კვლავ რუსთაველი!

რომ ახალ დიდებისათვის,
მესხმა შესხმა ვსთქვა ახალი,
თქვენ დამილოცეთ მე ფუძე,
ძველთაგან სახელმაღალი!

გიორგი ქუჩიშვილი

ორი ლექსი

სტუმრად შავ ზღვასთან

აჰა, მოველ, მშობლიურო!
მშობლიურად შემხვდი წვეულს!
მღელვარებით მომეგებე —
მღელვარებად გადაქცეულს!
ნუ მიხელებ
ცეცხლეულ სულს,
ნუ იძინებ
ზღვაო ეხლა:
დამანახვე „მწვანე კონცხზე“
ატეხილი შენი შეხლა!
დამანახე ლურჯ სივრცეზე
ავარცხნილი ტალღის ფრენა,
იალქნიან ნავთა ქროლვა,
ხიფათი და გადარჩენა!
ნუ მალონებ,
ნუ სთვლემ ზღვაო,
ატორტმანდი,
აგუგუნდი!
შენც აღიძარ
სულო ჩემო,
გასწი,
ხომალდს დაუბრუნდი!

სასიხარულო

მიხარიან!
მიხარიან!
გული ღელავს!
გული მღერის!
ზღვის ზვირთების ხორუმია,
მეჯლისია მშვენიერი!
ჩუ! ტალღების მსხვრევის ხმაში
ისმის ვაშა,
ისმის ტაში!
აღლუმი აქვთ
ჩვენს ნაღმოსნებს,
ჩვენი მარში
გრგვინავს ცაში!
ტან-ტიტანი კრეისერი
დაძრულ მთას ჰგავს
გაშლილ ზღვაში
და ორკესტრულ
გუგუნსა ჰშობს
გოლიათურ გულმშვიდ სვლაში!
მიხარიან!
მიხარიან!
გული ლაღობს!
გული ღელავს!
ჩვენს მშვენიერ
ზღვას და ხმელეთს
ველარავინ გადმოსთელავს!
და ამ რწმენით,
ამ იმედით
მე ამ ზღვის ჰანგით
ზღვასავე ვტყორცნი
და ზვიადი
ზღვაურ მკერდით
ზღვის ზვირთ-ტალღებს
გადავჰკოცნი!

მიხარიან!
მიხარიან!
ზღვად გარდმექცა
გული ზღვაში!
გამარჯვების გრგვინვას ვისმენ
შავზღველების ზვიად ხმაში!

დ. შოსტაკოვიჩი

ქართველი მუსიკოსები

მოსკოვში ქართული მუსიკის კონცერტზე ახლახან შესრულებული სიმფონია ბალანჩივაძისა, ჩემის აზრით, ეკუთვნის უკანასკნელი წლების ახალ, გამარჯვებულ სიმფონიურ ნაწარმოებთა რიცხვს. იგი საინტერესო და შინაარსიანი თხზულებაა, რომელიც მაღალ ტექნიკურ დონეზე სდგას. კომპოზიტორი ჩინებულად ფლობს ფორმას, ინსტრუმენტირებას, ერთი სიტყვით, ნამდვილი სიმფონისტის გამომსახველობითი ხერხების მთელს არსენალს. ბალანჩივაძის პარტიტურაში გვიზიდავს მისი მკვეთრად გამოხატული ნაციონალური ხასიათი.

ბალანჩივაძეს, როგორც კომპოზიტორს, დიდიხანია ვიცნობ. უკვე მის ადრინდელ, დიდიხნის წინათ დაწერილ საფორტეპიანო კონცერტში, ყველა მისი სერიოზული დეფექტის მიუხედავად, იყო ბევრი ისეთი საინტერესო აზრი, რაც იმთავითვე აღძრავდა ჩვენს განსაკუთრებულ, გულმოდგინე ყურადღებას ამ კომპოზიტორის შემოქმედებისადმი. ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულს ბალანჩივაძის ბალეტს „მთების გულს“ წილად ხვდა ხანგრძლივი და დამსახურებული წარმატება, რაც, კერძოდ, აიხსნება მუსიკის მაღალი ხარისხით (არ შემიძლია არ გავიხსენო მაგალითად საუცხოვო „ხორუმი“ ამ ბალეტიდან).

სამწუხაროდ ჩვენი საკონცერტო ორგანიზაციები და მუსიკალური გამომცემლობა ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას ვერ იჩენენ მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური კულტურის მიღწევებისადმი. სწორედ ამ მიზეზის გამო მოსკოვისა და ლენინგრადის მუსიკოსები არ არიან იმის კურსში, თუ რას აკეთებდა ა. ბალანჩივაძე „მთების გულის“ დამთავრების შემდეგ.

მით უფრო სასიხარულო იყო მისი სიმფონიის მოსმენა. სიმფონია უაღრესად საინტერესოდ არის მოფიქრებული და განხორციელებული. სიმფონიის სტრუქტურული ჩანაფიქრი — სამი ნაწილის სწრაფი მოძრაობა და შემდეგ ნელი ფინალი — ორიგინალურია და სავსებით შეესაბამება ნაწარმოების საერთო აზრს, იდეას. ეს მოწმობს ბალანჩივაძის შემოქმედებითს თაოსნობასაც.

მე გამიძნელდებოდა მიმეკუთვნებინა ბალანჩივაძის სიმფონია რომელიმე გარკვეული ჟანრისათვის — გმირული, ეპიური თუ ლირიკულისათვის. სიმფონიაში — განწყობილებათა მთელი გამაა. მაგრამ ეპიური ელემენტი მაინც სჭარბობს და წინ არის წამოწეული.

პირველი მუსიკალური სახიდანვე სიმფონია იპყრობს მსმენელის ყურადღებას. ეს არის მკვეთრი და უეცარი, თავის ხასიათით ინტრიგის აღმძვრელი ნახტომი ორკესტრისა, რასაც თან მოსდევს ეპიური თემის გაშლა. პირველი ნაწილის დამუშავებაში ბალანჩივაძეს შეაქვს, როგორც ეპიზოდი, თემა ფინალიდან, ეს არის ძალიან იშვიათი და გაბედული ხერხი, რაც ისევ და ისევ სიმფონიის ავტორის შემოქმედებითს თაოსნობას გვიჩვენებს.

მეორე ნაწილში მუსიკალური მასალა ფრიად საინტერესო და მომხიბლავად მეღერადია, მაგრამ მთლიანად ეს ნაწილი ოდნავ გაჭიანურებულად მეჩვენა. დიდებულია სიმფონიის მესამე, რამდენადმე მარშისებური ნაწილი. მის მუსიკაში ძალიან მოხერხებულად არის გამოყენებული მეგრული სიმღერა „ვოინანა“. კარგად ჟღერენ ამ ნაწილში ხის სასულე ინსტრუმენტები, რომელთა ვირტიოზული პარტიები ძალიან ძნელი, მაგრამ მადლიანი არიან. სიმფონიის საუკეთესო ნაწილია — ფინალი. ეს არის მთელი ნაწარმოების ლირიკულ — ეპიური დასკვნა. აქაც მრავალი საორკესტრო მიგნებაა: შესანიშნავად არის მიგნებული და მონახული ალტების ბგერადობა დასაწყისში, — საუცხოვოა სამი ტრუბის რეჩიტატივი ეპიზოდში, სადაც ორკესტრი იმეორებს სიმფონიის პირველი ნაწილების თემებს. დასასრულ, ორღანი გამოყენებულია არა ბგერადობის გასაძლიერებლად, არამედ საზეიმო კოლორიტის მისაცემად.

ახალი სიმფონია არა მარტო ა. ბალანჩივაძის, არამედ მთელი საბჭოთა მუსიკის დიდი გამარჯვებაა.

ამ სიმფონიის შემდეგ შესრულებულ იქნა ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი. ამ კონცერტის ავტორი — ახალგაზრდა და უთუოდ ნიჭიერი მუსიკოსია. ამ თავითვე მას ემჩნევა თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, საკუთარი კომპოზიტორული ხელი, მაგრამ მას არ ჰყოფნის ზომიერების გრძნობა: მე ვიტყოდი რომ მაჭავარიანის კონცერტის აზრობრივი დატვირთვა უფრო მცირეა, ვიდრე თვით თხზულება, ის, რაც ჩაუფიქრებია კომპოზიტორს, ასეთ დიდ მაშტაბებს არ მოითხოვს. კონცერტის მუსიკაში არ არის კონფლიქტები, ამიტომ ის თავისი გაჭიანურებით ქანცავს მსმენელს, თუმცა საერთოდ მაჭავარიანი გრძნობს, როგორც როიალის, ისე ორკესტრის ბუნებას.

სოლო-პარტიას კარგად ასრულებს ახალგაზრდა პიანისტი გაიანე მაჭუტაძე, მას აქვს შესრულების საამური მანერა და ჩინებული ბუნებრივი ნიჭი.

გზადაგზა აღვნიშნავთ, რომ დიდი და დამსახურებული წარმატებით გამოვიდნენ ამ საღამოს კონცერტზე მომღერლები ეკატერინე სოხაძე და პეტრე ამირანაშვილი, რომლებმაც შეასრულეს არიები თაქთაქიშვილის ოპერა „ხანოდან“, არია და დუეტი დ. არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთაველიდან“.

დირიჟორს შალვა აზმაიფარაშვილს კეთილსინდისიერად უმუშავნია კონცერტის პროგრამაზე, თუმცა ბალანჩივაძის სიმფონია ჟღერდა რამდენადმე ლაპიდარულად. დირიჟორმა ვერ მოახერხა აუდიტორიამდე მიეტანა ის ნატიფი სილამაზე და აზრების მთელი ის სიღრმე, რომელთაც ასე უხვად შეიცავს პარტიტურა. ძალიან კარგად გაისმა სამი ტრუბის რეჩიტატივი ფინალში, და ეს არის დამსახურება შესანიშნავ დამკვრელთა, რომელთაც მეთაურობს ნიჭიერი ლ. იურევი.

მისასალმებელია ინიციატივა მოსკოვისა და ლენინგრადის ფილარმონიისა, რომელთაც ქართული მუსიკის კონცერტები მოაწყეს. იმ ინტერესმა, რომელიც ამ კონცერტებმა აღძრეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოების სისტემატიური შესრულების უკვე დიდიხნის წინათ მომწიფებული საჭიროება.

ახლახან თბილისში დამთავრდა სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მუსიკალური ხელოვნების დეკადა. იქ შესრულებული იყო მთელი რიგი ნაწარმოებებისა, რომელთაც მრავალრიცხოვან მუსიკოსთა მოწონება დაიმსახურეს. რა რიგად გვსურდა მოსკოვში მოგვესმინა არა მარტო ის, რაც შეტანილი იყო პირველი და ჯერჯერობით ერთად-ერთი კონცერტის პროგრამაში, არამედ ამიერ-კავკასიის კომპოზიტორთა სხვა საინტერესო, ახალი ნამუშევრები.

„თბილისის ისტორიული ადგილები“

სახელგამის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა გამოსცა უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნი „თბილისის ისტორიული ადგილები“ (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, იგი შედგენილია **ლენინის** ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის უფროსი მეცნიერული თანამშრომლის ნ. ს. კარაბინოვას მიერ).

ეს წიგნი მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს თბილისის ის ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია დიდი **სტალინის** ცხოვრებასა და რევოლუციურ ბრძოლასთან მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ხსენებული ისტორიული ადგილების აღწერა მოცემულია ამ პერიოდის რევოლუციურ მოძრაობის ფონზე.

ეს წიგნი, რომელიც იმავე დროს გზის მაჩვენებლის ფუნქციას ასრულებს, გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრეებისათვის. წიგნი გვიადვილებს უკეთ შევისწავლოთ კონკრეტული გარემო, პირობები, რომლებშიაც უხდებოდათ ცხოვრება და ბრძოლა ზემოდ აღნიშნულ პერიოდში ამხანაგ სტალინს და მის თანამებრძოლებს.

„გზის მაჩვენებლის“ პირველი გამოცემა, რომელიც 1940 წელს გამოვიდა — შეიცავდა თორმეტი ისტორიული ადგილის აღწერას. მეორე გამოცემაში შედის ოცდასამი ისტორიული ადგილის აღწერა. წიგნი ილუსტრირებულია სათანადო ფოტოსურათებით.

ნარკვევები ულრმეს ინტერესით იკითხება, მათში სხარტად და მოკლედ გადმოცემულია უძვირფასესი ცნობები დიდი ბელადის ცხოვრებისა და ბრძოლისა, გაშუქებულია ცალკე ეპიზოდები ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსულისა.

წიგნი გამოცემულია დ. ენუქიძის რედაქტორობით, შეიცავს 144 გვერდს და ღირს 20 მან.

დემნა შენგელაია

მოლოდინი

მზე ჩავიდა. საღამო წყნარად ინავლებოდა. სოფელს ბინდი წამოეფარა.

აპრილის მწველი მზით გამოხვეულ მიწაზე დუმილი თანდათან მყარდებოდა. არ ყეფდა ძაღლი, აღარც ბავშვები ჟრიამულებდნენ. გზაზე აღარ ჭრიალებდნენ შეგვიანებული ურმები, აღარ გაისმოდა აღარც ხალისიანი კისკისი გასათხოვრად შეღერებულ გოგოებისა.

ხეები მიწის წვენით ყიყინდებოდნენ. ღამის დუმილში თითქოს ისმოდა როგორ სკდებოდნენ სავსე კვირტები, როგორ შიშშურობდა ქორფა ბალახი იდუმალ ზრდისაგან.

დედაკაცებმა საქონელი უხმაროდ დააბინავეს, ბავშვები ადრე დააწვინეს, მუგუზალი ძილის წინ ღველფში შეხვიეს.

ქვეყანა ბნელმა მოიცვა.

სოფლის განაპირას ერთ სახლში ცეცხლი ისევ ენთო.

კერასთან ორი დედაკაცი იჯდა, ერთ მათგანს თავი მუხლებზე დაყრდნობილ მკლავებში ჩაერგო. შავს გრუზა თმებზე ცეცხლის ნათელი ჭავლად დასთამაშებდა. რაღაც საგონებელს იგი ისე გაეტაცნა, რომ არც გაეგო თუ როგორ ჩაიბანა გამხდარი წვივები სპილენძის ტაშტში მოხუცმა ქალმა.

გომურში ძროხამ დაიღმუვლა. ერთხანს ისმოდა როგორ სლოკავდა იგი ხაოიანი ენით ახლად მოგებულ ხბოს. მოხუცმა ყური მიუგდო, ღრმად ამოისუნთქა.

— წუხელ ნაქერალზე ამოვიარე და ფეხში ხიჭვი მომხვდა,—დაარღვია სიჩუმე განზრახ ხმამაღლა,—ვეძებ და ვერ მიპოვია,—განაგრძო იმავ კილოთი და ფეხის გულში ხიჭვს გაზვიადებულ მონდომებით დაუწყო ძებნა.

ჩაფიქრებულ ქალს თავი მაღლა არ აუღია, არც შერხეულა.

— ეს რა შავ დღეს შევესწარით, ჰა?— ამოიოხრა მოხუცმა ისევ ხმამაღლა.—სისხლის წვიმით, სწორედ ამაზე უთქვამთ!—სთქვა და, დამჭკნარი ფეხები ტაშტის კაპიზე გასაშრობად რომ შემოაწყო, მოთმინებიდან მხოლოდ მაშინ გამოვიდა:

— რა არი, ქა, ეგრე რო გაოგნებულხარ! — და უკმეხად ნათქვამი სიტყვა ალერსიანი საყვედურით შეაბრუნა:

— ადე, დარო! ადე, შვილო, და ერთი კარი მოხურე, ხო ხედავ, რო შინ ღამე იცქირება! არ ვარგა.

ქალმა თავი აიღო, ერთი ღრმად ამოიხვნეშა და წინ წამოშლილი თმები უკან მოხდენილად გადაიყარა. შავი თვალები მოხუცს უსაზღვრო სევდით შეაშუქა, ფეხზე უსიტყვოდ წამოდგა, კარებისაკენ კოხტად დადგმული ტანით ქვეშქვეით გაემართა.

მოხუცმა ახალგაზრდა ქალის ოდნავ წამოზრდილ მუცელს, მის სანდომიან აღნაგობას თვალი გააყოლა. ჯერ შვიდი თვეც არ შესრულებულიყო, რაც იგი რძლად მოიყვანა. ჯერ იგი ქმრის სიყვარულით არც გაძღარიყო, რომ ეს საშინელი ომი დაიწყო. მოხუცს თავისი ჯეელობა, თავისი ყმაწვილქალობა თვალწინ დაუდგა. თავისი საწყალი ქმრის ტლანქი, მაგრამ სასურველი ალერსი მოაგონდა. ბებერი გული უჩვეულოდ აუტოკდა. ჯერ სამი წლის გათხოვილიც არ იყო, რომ ქმარი ტყის კაფვის დროს დაგორებულ ხეს ქვეშ მოექცა და სული იქვე დალია. ახალგაზრდა ქვრივმა მეორედ გათხოვება აღარ ისურვა და თავისი დედისერთა ბიჭი ქვრივობისა და ობლობაში ძლივსძლივობით გამოზარდა. აი დააქორწინა კიდევაც და, თავი ბედნიერად რომ იგრძნო, ბედმა სწორედ მაშინ უმუხთლა. ახლა ომშია და სხვა ვაჟკაცებთან ერთად მტერს ისიც ებრძვის.

დარომ კარი უხმაროდ მოხურა და თავის ადგილას უხმაროდვე დაჯდა.

მოხუცს თავისი გრძნობიერების რატომღაც თვითონვე მოერიდა და კუშტად წამოიძახა:

—ამდენი დარდი გაგონილა, ქაა! მარტო შენ ხო არა ხარ ეგეთ დღეში! მთელი დუნია ეგრეა... მართალია ი ბიჭი შენი ქმარია მაგრამ, აბა ერთი ჩემ გულშიც ჩაიხედე. იმისმა ჯავრმა დამბერია, წელში გამტეხა... მეც დედა ვარ, ეგ ტიელი, ეგა! განა ჯიგარი მე არ მეწვის, მაგრამ რა ვქნა... ქვეყნის სამსახურს სად წაუვალთ. მტერი კარს მოგვადგომია და ასეთ დროს კარგ ყმას შინ რა უნდა..

დარომ მოხუცს ხმა არ გასცა. ან რა უნდა ეთქვა? განა მან უკეთ არ იცოდა, რომ ქვეყანას სამსახური უნდოდა, სამშობლოსათვის სიცოცხლე არ დაიშურებოდა. მაგრამ გულისთვის რა ექნა, ამ გასატიალებელ გულს რა დაამშვიდებდა, როცა იმისი სიახლოვე ეგრე ძალუმად მოსწყურებოდა. ვაჟკაცი რომ იყო, ომში რომ იყო, აკი მით უფრო უყვარდა იგი, მით უფრო უნდოდა მასთან ყოფნა. მაშ ლაჩარსა და ქალაჩუნა ქმარს რა თავში იხლიდა!

ცრემლები რომ დაეფარა ,თავი დაბლა დახარა.

ერთხანს ეგრე იყო. მერე თავი ისევ აიღო და ღამეს დაღვრემით მიაყურა.

— ხვალ კარგი ამინდი იქნება!—სთქვა მან უსაგნოდ და კერაში ჩხირით ნაცარი გაქექა.

— ჰოდა, ძალიან კარგი! საბარავში ადრე გავალ და შენ ოჯახს მიხედე.

დარო ერთხანს ჩუმად იყო, ნაცარს ისევ ქექავდა. მერე ჩხირი ცეცხლში შეაგდო და, დედამთილის გასაგონად კი არა, თავისთვის სთქვა:

— გუშინ თანდილაანთ ვანოს ამბავი მოვიდა.

— ნახვა მინდოდა, მაგრამ... ბოსტანი საბარავია.—სთქვა მოხუცმა და ცეცხლს შეშა შეუკეთა.

— ეს სატიალე გულიც, რო სულ გაწყალდა,—ამოხდა დაროს მისდაუნებურად ხმამაღლა.

მოხუცს ხმა არ გაუცია. მშრალი ფეხები ქუსლჩაკეცილ წუღებში უსიტყვოდ გაუყარა და ტაშტის ასაღებად დაიხარა, მაგრამ დარომ არ დაანება. ჭუჭყიანი წყალი ხელდახელ გარეთ გაიტანა და ეზოში ტლაშუნით გადაღვარა. ხელში შერჩენილ ტაშტით შედგა. ისეთი წარმტაცი ღამე იყო, რომ შინ შებრუნება დაეზარა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა სოფელს უდარდელად დასცქეროდა. აპრილისა და ნედლი მიწის საამო სუნმა თავში ზარხოშით დაჰკრა. აყვავებული ტყემლები და იები გულის მისალბუნებლად იფშვინებოდნენ. ამ სურნელებამ ბედნიერი ღამეები გაახსენა. მასთან ერთად თივით გატენილ გომურის ჩარდახში გატარებული ტკბილი ღამეები თვალწინ ნათლად წარმოუდგა. მაშინ შემოდგომა იყო და ალერსიანი გრძელი ღამეები მაინც ადრე ტყდებოდა.

მის ქმარს ღამით ყანაში რომ შეაგვიანდებოდა, ჩარდახში იძინებდა. დარო გარეთ უჩუმრად გაიპარებოდა და იქ დაწვებოდა. შეგვიანებულ ქმარს იქ ელოდა. დილით, განთიადის სიგრილით ატანილს, ჯერ კიდევ ცვრიან დილაბნელში გაეღვიძებოდა და ნახევრად გახსნილ სახურავიდან გასცქეროდა თუ როგორ დაჰნათოდა თავს დილის ცისკარი, როგორ კამკამებდა ცის ლაჟვარდი.

ერთ ასეთ დილით გამოიძახეს იგი სოფლის საბჭოში და შუადღისით ამხანაგებთან ერთად ჯარში გაისტუმრეს. ზოგ მათგანს შვილი გულში ჩაეკრა, თან ჰკოცნიდა, ეთხოვებოდა და თან ამხანაგებთან ერთად ჩქარი ნაბიჯით წინ მიდიოდა. დაროს ქმარი ფანდურის ჟღრიალით ამხანაგებს წინ მიუძღოდა. ისინი მღეროდნენ, იცინოდნენ, ხოლო მათი ცოლშვილი, მშობლები და მეზობლები ენაჩავარდნილნი შორიახლო ტუსტუსით მისდევდნენ, ერთსა და იმავეს ათასჯერ აბარებდნენ, გულის დარდს იმით ფარავდნენ.

დიდ გზაჯვარედინზე გამოეთხოვნენ ისინი ერთმანეთს. მამაკაცებმა გზა განაგრძეს, დედაკაცები იქვე დარჩნენ. იდგნენ და თავის ვაჟკაცებს გულგაწყალებით გასცქეროდნენ. ადგილიდან ფეხი მანამ არ მოუცვლიათ, სანამ ისინი თვალს არ მიეფარნენ.

როცა საყვარელ ადამიანს დიდი ხნით ეთხოვები, დარდთან ერთად საკვირველ გრძნობას განიცდი, გრძნობას, რომ რაღაც მძიმე ტვირთი ჩამოიშორე. დაროც ასე იყო, გამოთხოვებით გამოწვეულ მღელვარებას იგი ისე დაეღონებინა, რომ განშორების ტკივილს თითქმის არ გრძნობდა. ტკივილი მან მხოლოდ შემდეგ იგრძნო, როცა შინ დაბრუნდა, გარეგნულად თითქოს დამშვიდდა და იქ, შიგნით, დარდი გულს თანდათან მძლავრად ეუფლებოდა.

დარო ახლა ნანობდა, ახლა სწუხდა, რათ არ გასძახა მაშინ, რათ არ მოაბრუნა იგი, რომ ერთხელ კიდევ დაენახა იმისი მზემოკიდებული ტილა სახე, ერთხელ კიდევ დამტკბარიყო იმის ეშხიანი ღიმილით და მერე თვალი ერთბაშად დაეხუჭა და ეს სახე, ეს ღიმილი გულში ღრმად ჩაებეჭდა.

— ქიტა-ა, ჩემო ქიტა-ავ!—ამოხდა თავისთავად,—ქიტაა, სადა ხარ?

პასუხი არ ისმოდა.

მკლავები მოსწყდა. ტაშტი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ ჯავრით გაოგნებულს მისი ხმაური არც გაუგონია. არც ის გაუგია როგორ გამოხედა შეღებულ კარებიდან დედამთილმა და, მისი სიმარტოვე რომ არ დაერღვია, როგორ მიიმალა.

ის ვარსკვლავებით მოთესილი ცისიერი, ეს გაპოხილი მიწა და ახლად დათესილი ყანები ასე ეგონა, რომ თვითონ იყო, მისი ბნელი წიაღი იყო და მის სიღრმეში ახლა თესლი ყოველი ნერგისა და ბარტყისა სასიცოცხლოდ ღვივდებოდა.

ფიქრთაგან გამოერკვა. წისქვილის წყალი ღარში აღარ შხუოდა. თურმე ეჩვენებოდა. ის ხმაური მისი მდუღარე სისხლის ჩხრიალი იყო.

ქვეყანა ყვაოდა, ყანები აჯეჯილებულიყვნენ, ტყე იფოთლებოდა. როგორც ყოველ ქალს, ომი მას ბუნდოვანად ჰქონდა წარმოდგენილი და ტანში შიშისა თუ ღამის სიგრილისაგან ცივად გააჟრჟოლა. ქიტაც იქ იყო. ზარბაზნები გრიალებდნენ, ყუმბარებით აფეთქებული დედამიწა ცად შავ შადრევნებად ადიოდა და არსად სიკვდილ-სიცოცხლე ისე ახლოს არ იყვნენ ერთმანეთისაგან, როგორც იქ, დარო გაყუჩდა. ფიქრით სიკვდილის საბრძანებელში რომ გადავიდა, ერთბაშად შიგნიდან რაღაც ისე მძლავრად დაეჯახა, რომ ერდოს სვეტს ხელი წაატანა, მუხლმოსხლეტილი მიწაზე ნელა დაეშვა. გამორკვევა ვერ მოასწრო. ტანში ტკბილმა ჟრუანტელმა ცხლად დაუარა. მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რათ უყვარდა თავისი ქიტა, განუცდელ ბედნიერებით სულშეტაცებულმა თავი სიცილისაგან ვეღარ შეიკავა. თან იცინოდა და თან ეშინოდა, ეშინოდა რაღაც უცნობისა და უახლოესის.

მუცელზე ხელები ისე შემოიხვია, თითქოს თავისი თავის აყვანას თვითონვე ლამობდა, მერე თავი მკლავებში ჩარგო და სულგანაბულმა თავის არსებას ყური მიუგდო.

— სძგერს! სძგერს!—თქვა ბედნიერი ჩურჩულით და თვითონვე გრძნობდა როგორ ივსებოდა იგი სიცოცხლით, როგორ მწიფდებოდა იგი აპრილის გამანაყოფიერებელ თბილი ტაროსით. ახლა მიხვდა,—მის ქმარს თოფი თურმე მის დასაცავად აეღო, სიკვდილს შეჰბმოდა და ახლა მით უფრო უყვარდა იგი. მისი ალერსი, მისი სიყვარული კიდევ უფრო სწყუროდა.

წამოდგა. სახლისაკენ მიიხედა. გომურზე მიდგმული კიბე მძიმედ აირბინა.

ქიტას ლოგინი ისევ იქ იყო. ხელი არ ეხლოთ, მის მოსაგონებლად ისე ინახავდნენ, როგორც დაეტოვებინა, ლოგინში შეგორდა. თივა ვნებიან სიცილით, ალერსიანი კვნესით გამოეხმაურა. თავი შიგ რომ შერგო, ათასგვარი ხმელი ბალახბულახისა და გვირის სურნელი ირგვლივ შემოეხვია.

სულ დაავიწყდა, რომ ქიტა ომში იყო. ასე ეგონა სადღაც ყანაში შეაგვიანდა და მის მოლოდინში ტკბილად გაიტრუნა. ის იყო ძილის ბურანში წავიდა, რომ სახლის კარიც გაიღო და ეზოს სინათლის ზოლი გრძლად მოეფინა.

— დარო, ჰაი, დარო!—გასძახა მან რძალს ალერსიანი შეშფოთებით.

— რა მოხდა, დედი?—შეეკითხა იგი დედამთილს ჩარდახიდან.

— მანდა ხარ, შვილო? დაიძინე, დაიძინე! —სთქვა მან დაყვავებით და ტაშტი შინ შეიტანა.

ალექსანდრე ქუთათელი

შემოდგომა

(ჯარისკაცის წერილებიდან)

წელს შემოდგომა ოქროსფერი თვალწარმტაცია
და გამარჯვების ჭირნახულით ისევ ხეირობს.
ლაზარეს ხამი მოსასხამი ტანზე მაცვია
და ჰოსპიტალის დერეფანში ასე ვსეირნობ.
გუშინ ვიყავი ერთ მამულში ყოფილ გრაფისა;
იქ ნეკერჩხლების ხეივანში დიდხანს ვიჯექი
და ტურფა ქალთა გარდასული ხმა, ნაბიჯები
თითქოს აჟღერდნენ ჭიანურის ძველ მიზრაფითა.
აქ არ ისმოდა ქვემეხების გრგვინვა ავგული,
საბედისწერო სირენებიც არა ჰკიოდა.
მზით გალაქული, გულყვითელი, ვით მალალური,
ფოთოლი ობლად ტრიალებდა და ძირს ცვიოდა.
იდგა სიჩუმე უცნაური, მიუწვდომელი.
შორს გადაფრინდა შავბედითი შავი ყარყუმი
და მავნე სულთა არული და ეშმაკთ ალლუმი
ზღვაში ჩაინთქა, გადავიდა მიუთხრობელი.
კარგი ყოფილა ხეივანში გავლა უმიზნოდ,
არა ფიქრობდე უდარდელი და უზრახველი,
მიგქონდეს სევდა, უშფოთველი ჭმუნვის მსახველი
და შემოდგომის ფოთოლივით იყო უბიწო.
მაგრამ რას ვამბობ, როცა ისევ დგას სისხლის ღვარი,
ომის ხანძარი შმაგი წარღვნის დასადარისად
და ძველი ბაღის ხავსიანი და მუნჯი კარი
არ გამოდგება საფარველად ავ სატანისა.
წუთისოფელზე იმ პატარა და ნაცნობ სიბრძნეს,
სევდიან ბაღში ჩაფიქრებას და გარინდებას,
აღარ მანებებს დიდ ამბავთა ტალღის დინება
და ახლა ომის დასასრული ხეებმაც იგრძნეს.

ვთქვი და აფეთქდა სისხლისფერი ცა ვით ლალუმი
და ანთებული ზედ ხანძარის ცეცხლი ჰღვივოდა.
მზით გალაქული, გულყვითელი, ვით მალალური,
ფოთოლიც ნელა ტრიალებდა და ძირს ცვიოდა,
საბჭოთა გმირი შეეზარდა რკინის უნაგირს;
მაღლა ზეცაში, გარესკნელზე, ზღვა და ქვესკნელშიც
ჩაჰყვა, დალეწა მტრის ჯავშანი, რკინა სქელსქელი
და შეანგრია ფაშისტების შავი ბუნაგი.
ჯერ არ დაგვნებდა შეპყრობილი ავი ხუნაგით,
მძიმედ დაჭრილი, სისხლისმსმელი მხეცი მსუნაგი.
გარბის ბერლინში დამარცხების მაცნე ჰერმესი,
მისი ბატონი, სისხლისმსმელი ცრემლებს აწვიმებს...
და მოაქვთ ხალხთა ბელადის და სარდლის არწივებს
გამარჯვებათა ალტაცება, დიდი მერმისი.



სახლი, სადაც დაიბადა დიდი **სტალინი.**

სურათი მხატ. აპ. **ჩხაიძისა.**

მაქსიმ რილსკი

ცნობილ უკრაინელ პოეტს, სტალინური პრემიის ლაურეატს მაქსიმ რილსკის შეუსრულდა 50 წელი დაბადებიდან და 35 წელი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან. ეს თარიღი ფართოდ აღნიშნა საბჭოთა კავშირის ლიტერატურულმა საზოგადოებამ და საბჭოთა პრესამ.

რილსკიმ თავისი პირველი ლექსები 1910 წელს გამოაქვეყნა და მას შემდეგ ის დაუცხრომლად მოღვაწეობს, ფრიად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივია მისი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია „თეთრ კუნძულებზე", „ქარბუქსა და თოვლში", „მეცამეტე გაზაფხული", „ზაფხული", „უკრაინა", „რთველი" და „მე შვილი ვარ საბჭოთა ქვეყნისა".

მაქსიმ რილსკი უაღრესად თავისებური ლირიკოსია, ის ნატიფად გადმოგვცემს უკრაინის ბუნების მომხიბვლელობას. მკითხველს იტაცებს მის მიერ მთელი სირთულით და ამავე დროს გამჭვირვალობით ასახული გრძნობები ადამიანისა, სიბრძნე მის ფილოსოფიურ პოეტურ განზოგადებისა; ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მოწყვეტილი იყოს ჩვენს მღელვარე თანამედროვეობას. მის პოეზიაში სჩანს დიდი მოქალაქის მებრძოლი სული, შეურიგებლობა ხალხისა და სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში. რილსკის ერთნაირად ემარჯვება ჟანრი წმინდა ლირიკისა და ჟანრი პოლიტიკურად მგზნებარე სამოქალაქო პოეზიისა. მისი პოეტური ძახილი მძაფრად გაისმის სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე.

მაქსიმ რილსკი თავის ლექსებში ადიდებდა და ადიდებს უდიდეს მხედართმთავარს, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა შთამგონებელსა და სულის ჩამდგმელს ამხანაგ **სტალინს;** პოეტი შთააგონებდა და შთააგონებს თავის თანამემამულეთ და ყველა საბჭოთა პატრიოტს დაუცხრომელ ბრძოლასა და შრომას მოსისხლე მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

მაქსიმ რილსკი პოეტურ შემოქმედებასთან ერთად ეწეოდა და ეწევა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ომის მძიმე დღეებში იგი გამოდიოდა მომწოდებელი სიტყვებით ჯარის ნაწილებში, მონაწილეობას ღებულობდა უკრაინელ ხალხის წარმომადგენელთა რადიო - მიტინგებში და მოსკოვში გამართულ სლავი ხალხების წარმომადგენელთა კრებებზე.

მის ერთ - ერთ ასეთ პოეტურ გამოსვლას „სიტყვას მშობელ დედაზე" მიეკუთვნა პირველი ხარისხის სტალინური პრემია.

ამჟამად მ. რილსკი არის სრულიად სლავთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, იგი თავისი შემოქმედების სრული სიმწიფის პერიოდში იმყოფება; საბჭოთა ქვეყანა მისგან მოელის მრავალ და მრავალ შთამგონებელ სიმღერას, ლექსს, პოემას, ჰიმნს გამარჯვებული საბჭოთა ხალხის, გმირი-მეომრების და გმირი-მშენებლების სადიდებლად.

გერონტი ქიქოძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი

არსებობენ პოეტები, რომელთა ხმა ბუკივით და ნაღარივით გაისმის და რომელნიც თავიანთ აუდიტორიად მთელს ერს ან მთელს კაცობრიობას სთვლიან. ასეთია, მაგალითად, ჰიუგო ან ბაირონი. სხვები, უპირატესად, ქალთა ან შეყვარებულთა საზოგადოებას მიმართავენ ჰეინესა და მიუსესავით. ზოგიერთებს კიდევ ბოჰემური სარდაფის ან რევოლუციური ქუჩის მოწონება და ტაში აინტერესებთ ფრანსუა ვიიონსა ან ბერანჟესავით. ნიკოლოზ ბარათაშვილი არც ერთს მათგანს არ ჰგავდა. ის თავდაპირველად თითქოს ვერავითარ აუდიტორიას ვერ ხედავდა და თითქოს თავის თავთან, თავის სულთან მართავდა დიალოგს. შეიძლება ამ მხრივ ის ნაწილობრივ დავით გურამიშვილის მემკვიდრედ ჩაითვალოს.

მისი ორმოციოდე ლირიკული ლექსი, ერთი პატარა პოემა და რამდენიმე პირადი წერილი ერთად სულ პატარა კრებულს შეადგენს. ცნობილია რომ არც ერთი სტრიქონი ამ კრებულიდან მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. როგორც პოეტს მას სიცოცხლეში და კარგა ხანს სიკვდილის შემდეგაც მხოლოდ მეგობრების ვიწრო წრე იცნობდა. დიდხანს მისი საფლავი მიჩქმალული იყო, მისი ლექსები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდნენ. მაგრამ ბარათაშვილი არასოდეს მაინც ვიწრო კამერის პოეტი არ ყოფილა არც თავისი ლექსების ფორმით, არც მათი იდეური შინაარსით. პირიქით, ის თანდათან ქართველი ერის რჩეული ჰეროლდი გახდა. ქართველმა საზოგადოებამ ის თითქოს ორჯერ აღმოაჩინა: ერთხელ ორმოცდაათიან და სამოციან წლებში, როდესაც მისი ლექსების ბეჭდვა დაიწყო „ცისკარსა" და „საქართველოს მოამბეში", ხოლო მეორეჯერ 1893 წელს, როდესაც მისი ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს.

ეს იყო უდიდესი პოლიტიკური დემონსტრაცია, ნიშანი ქართველი ერის თვითშეგნების გაღვიძებისა. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ მას რკინისგზის სადგურიდან დიდუბის ტაძრის ეზოში მიასვენებდნენ; ქალები თავიანთ ბავშვებს აჩოქებდნენ, რათა მათ სარწმუნოებრივი მოკრძალებით ემბორათ სამშობლოში დაბრუნებული პოეტის ნეშტისათვის.

როგორც ეტყობა, მისი სული გათიშული იყო დისონანსებით, მაგრამ ეს დისონანსები, ბოლოს, ერთდებოდნენ რაღაც უმაღლეს ჰარმონიაში: მას უყვარდა საღამოს ბინდბუნდი, სასაფლაოს მდუმარება, მდინარის ტალღების ლივლივი მთვარის შუქზე; მაგრამ მას უყვარდა აგრეთვე ჭაღების უხვი სინათლით გაშუქებული დარბაზები, ცეკვა - თამაში, სიმღერა, მეგობრებთან შეხვედრა სანადიმო სუფრაზე ან ქაღალდის და ჭადრაკის სათამაშო მაგიდის გარშემო. ძნელია უფრო მორიდებული და გაუბედავი შეყვარებული ჭაბუკის წარმოდგენა, ვიდრე ის გვევლინება თავის იდილიურ „ღამე ყაბახზე": მას აქ ახალგაზრდა ქალის შემოცინება სჭირდება, რათა გამხნევდეს და გულისძგერით წარსდგეს წინ, აქ ის ვერც კი ბედავს ქალის ფეხებს მათი ნამდვილი სახელი უწოდოს. სამიოდე წლის შემდეგ კი „საყურეში" ის უთამამეს ეროტიკულ გამოთქმებს იყენებს:

„ჰა საყურეო,
გრძნობით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვას?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს:

ის ირონიულად ლაპარაკობს თავის ნაცნობ თბილისელ ქალებზე, „მათს დიდ დამჯერებზე, მათს მიდრეკილებაზე ახალი ქვეყნისა და მოდაში შემოსული ოთხმოცი წლის მოხუცებისადმი"; თავის მეგობრებს ის აფრთხილებს: „არ შეემსჭვალონ მოკისკასე კეკელა ქალსა, სულის დამტყვევნებელს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა". მაგრამ ამავე დროს ის უღრმეს სტრიქონებს უძღვნის ციერ, უხრწნელ სიყვარულს და კაცთა ენით გამოუთქმელ გრძნობას, შეიძლება თუ არა უფრო ვნებიანი სახის ხმარება ვიდრე გველად ქცეული დალალების მოძრაობაა ქალის სპეტაკს მკერდზე და შეიძლება თუ არა სიყვარულის უფრო იდეალისტურად წარმოდგენა, ვიდრე პოეტი მშვენიერ სულთა შეუღლების სახით იძლევა თავის ლექსში „რად ყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?"

ეს ადამიანი, რომელმაც ჰუმანისტური მორალური სენტენციით დაასრულა თავისი პესიმისტური ლირიკული შედევრები „მერანი" და „ფიქრნი მტკვრის პირას", ხოლო თავის მელანქოლიურ „შემოღამება მთაწმინდაზე"-ს ოპტიმისტური დაბოლოვება მისცა, თავისუფალი არ იყო მიზანტროპიის შეტევებისაგან. ის ოცნებობდა გაუმაძღარ ადამიანთა საზოგადოებას გაქცეოდა და მწირივით ეცხოვრა იდილიური ბუნების წიაღში; მაგრამ ამავე დროს მას ადამიანზე ძალიან ამაღლებული წარმოდგენა ჰქონდა როგორც ღვთაების ნაწილაკზე.

თვით მისი ლექსის ორკესტრი მდიდარი იყო როგორც ლითონის, ისე სიმებიანი საკრავებით, და მას ეხერხებოდა როგორც მაჟორული, ისე მინორული ტონების აღება. აქ მერნის თქარათქურის და ყორნის ჩხავილის გვერდით ბავშვის ტიკტიკის ხმა გაისმის, ჩონგურის ოხვრის გვერდით სუმბულის ნაზი ჩივილი. მაგრამ ყველა ამ ხმებს მაინც ღრმად ტრაგიკული პათეტიკა ჰფარავდა:

„დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან
წარმტაცა ყვავილი,
მაცხოვნებელი სიცოცხლის, სურნელებითა
აღვსილი!
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო
ნამილი.
დრომ უჟამურმან აწ ცრემლით შესვარა
მისი ადგილი!
აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს
მისსა დანაჭკნობს,
მოძულებული სიცოცხლე მყისვე
კვალადცა დამატკბობს,
მაგრამ მსწრაფლადვე გახმირდნენ მწარენი
ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგების დაკარგვა
სიხარულისა".

საიდან წარმოსდგებოდა ეს მდუმარე უდაბნოს შეგრძნობა, ეს გულში დასადგურებული სევდა და წყვდიადი ,ეს დანგრეული ტაძრის, ჩამქრალი ლამპრის დახშული კარების ხილვა?

უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური და მორალური ატმოსფერო, განსაკუთრებით მკაცრი და სუსხიანი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველი ერის მდგომარეობა თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიის ტყვეობაში, ქართლის ბედზე დაფიქრება თავისთავად საკმაო იყო, რომ ქართველ პოეტს, უნაზესი ფსიქიური კონსტიტუციის მქონეს, ობლობა და მიუსაფრობა ეგრძნო ამ ქვეყანაზე. ანალოგიურმა საზოგადოებრივმა პირობებმა დავით გურამიშვილის ტრაგიკული მსოფლშეგრძნობა წარმოშვა ერთი საუკუნით ადრე. მაგრამ როდესაც ამ ორ დიდ ფიგურას ვადარებთ, ყველაზე ტრაგიკულთ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ვამჩნევთ, რომ წინამორბედი შინაგანად უფრო მთლიანია, ხოლო მემკვიდრე უფრო სულიერი კონფლიქტებით გათიშული.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მორწმუნე ოჯახსა და საზოგადოებაში დაიბადა, პირველი სიტყვები, რომელნიც მან გაიზეპირა, ქრისტიანული ლოცვების სიტყვები იყო; მაგრამ, როგორც ეტყობა მას რწმენა შეერყა თანამედროვე მეცნიერების ზეგავლენით. მის ძარღვებში ბაგრატიონთა დინასტიის სისხლი სჩქეფდა, მაგრამ ის იძულებული გახდა კანცელარიაში ემსახურნა საკმაოდ დაბალი მოხელის თანამდებობაზე; ის ქართველი პატრიოტი იყო და იძულებული გახდა რომანოვთა ბატონობას შერიგებოდა. მისი სატრფო სხვაზე გათხოვდა, როგორც ეტყობა, არა გულის, არამედ ანგარიშის კარნახით. მან პარალელურად რამდენიმე კატასტროფა განიცადა როგორც მორწმუნე ადამიანმა, როგორც არისტოკრატმა, პატრიოტმა და მიჯნურმა.

როდესაც ის ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს ხელნაწერ ჟურნალში სტატიას ათავსებდა პაპიზმის ამაღლებასა და დამხობაზე, ალბათ გრძნობდა, რომ კრიზისი განიცადა არა მარტო დასავლეთის კათოლიკურმა, არამედ ქრისტიანულმა რელიგიამ საერთოდ. უფრო გვიან თავის ფილოსოფიურ და რელიგიურ ლირიკაში, რომელიც თავისი სიღრმით და გულწრფელობით დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს მოგვაგონებს, მან დიდი მჭერმეტყველობით გადმოსცა ის შეშფოთება და სიცარიელე, რაიცა ადამიანის სულში მყარდება სარწმუნოების შერყევისა და დაკარგვის შემდეგ:

„განვედი ჩემგან, ჰოი მაცთურო, სულო
ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი,
უსაგნოდ, მარტო,
ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით
მახვრალი,
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი
მსახვრალი!

ხშირად ხდება, რომ ის ვინც პიროვნული ღმერთის რწმენას ჰკარგავს, ხსნას ეძებს ბუნების გასულიერებასა და გაღმერთებაში და თეისტური იდეებისაგან განთავისუფლებული ადამიანი პანთეისტი ხდება. არ შეიძლება ითქვას, რომ ბარათაშვილი პანთეისტი ყოფილიყოს ამ ცნების ტრადიციული გაგებით. მაგრამ უცილობელია, რომ ის ბევრად ახლო იდგა პანთეიზმთან, ვიდრე მექანისტური ბუნებისმეტყველების იდეოლოგიასთან. მხოლოდ პანთეისტურად განწყობილ ადამიანს შეეძლო გადმოეცა ეს შეყვარებული მტკვრის ოხვრა სევდიანად ჩინარის ფეხთ ქვეშ („ჩინარი"). განა პანთეისტის თვალით არ არის დანახული ეს წმინდა ტაბლასავით გაშლილი ველი, საიდანაც ყვავილნი სამადლობელ გუნდრუკს უკმევენ მთაწმინდის კლდეებს, ეს საიდუმლოებით აღსავსე ნაპრალები, საიდანაც ღელეთა კვნესა ისმის, ეს თითქოს ლოცვით მოქანცული, დისკო გადახრილი მთვარე და მიჯნურივით მისი მადევარი ვარსკვლავი? („შემოღამება მთაწმინდაზე") განა პანთეისტური რწმენით არ არის ნაკარნახევი პოეტის ეს სურვილი, რომ ის განთიადის მორიბედ ვარსკვლავად ან, კიდევ უკეთესი, მზედ იქცეს, რათა მისმა ციაგმა ჩამად ქცეული სატრფო შეიშროს და მასთან ერთად შვება მოჰფინოს მცენარეთა სამყაროს სოფლის დასასრულამდე? („არ უკიჟინო, სატრფოო"). თვით ნასესხებ და გადაკეთებულ თემას („ცისა ფერს, ლურჯსა ფერს") ნიკოლოზ ბარათაშვილმა პანთეისტური განწყობა მისცა: მან სიყვარულის ეშხით დაღნობაც და პირადი სიყვარულიც წარმოადგინა როგორც შეერთება ლურჯ ცასთან.

მაგრამ ცხადია, მისთვის ადვილი არ იყო ტრადიციულ რელიგიურ იდეებთან გამოთხოვება. ის უბრუნდებოდა პირადი ღმერთის რწმენას და, მაგალითად, „ჩემს ლოცვაში" მას ქრისტიანი ჰიმნოგრაფების სიტყვებით მიმართავდა:

„ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა
წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა
სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა
ვნებისა,
არამედ მიეც მას სადგური მყუდროებისა!"

ამ ადამიანს, რომელიც ასე განმარტოებული იყო თავის სამშობლოში და რომელსაც უცხოეთში ნახევარი საუკუნის ლოდინი დასჭირდა, სანამ აკლდამის კარს გაუღებდნენ საქართველოს პანთეონში, მრავალი სულიერი ნათესავი ჰყავდა თავის თანამედროვეებს შორის. ესენი იყვნენ ტიტანური მისწრაფების ადამიანები, ძლიერი პიროვნების კულტის ქურუმები, დემონიზმის და ინდივიდუალიზმის მოციქულები, „კაენის" და „მანფრედის", „კონრად ვალენროდის" და „ფარისის", „ჩვენი დროის გმირის" და „დემონის" ავტორები, რომელნიც ვერ შეურიგდნენ პოლიციური სახელმწიფოს არტახებს და მედუქნის ქისის გაბატონებას და, რაკი დაინახეს, რომ ბარიკადებზე და საომარ ასპარეზზე თავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლა დამარცხდა, ის პოეზიის სფეროში გადაიტანეს.

კაცობრიობას ხშირად სჭირდება ასეთი ადამიანების მოვლინება; კაცობრიობას ფრთები სჭირდება, ორი დიდი ფრთა, რათა ცხოვრების პროზა, ემპირიული სინამდვილე მაღალი პერსპექტივიდან დაინახოს, ის დასძლიოს და გადალახოს. ამ დიდ ფრთებს პლატონს იდეათა მოძღვრება აძლევდა, პავლე მოციქულს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, ნეტარ ავგუსტინეს — ქრისტიანული რელიგია და სამოთხის რწმენა, ჯორდანო ბრუნოს — პანთეიზმი და სამყაროს დაუსრულებლობის შეგრძნობა, ჟან-ჟაკ რუსოს, სენ-სიმონს, ფურიეს — უფრო სრულყოფილი საზოგადოების ხილვა, ბაირონს, მიცკევიჩს, ბარათაშვილს რომანტიკული პოეზიის ფრთოსანი მერანი. და თუ ასეთი ადამიანები არ ყოფილიყვნენ, კაცობრიობა ვერასოდეს ვერ გამოვიდოდა გვიმრაში მცოცავი არსების მდგომარეობიდან, ის საბოლოოდ ემპირიზმის ჭაობში ჩაეფლობოდა.

ფრიდოლ ჩიქოვანი

სისხლის გზა*)

ჯოტომ გაკვირვებით მოიხედა. ფიდია დააბნია მისმა სახემ, ჯოტოს აპატიურ გამოხედვაში მას დამცინავი ღიმილი მოეჩვენა, შეცბუნდა, დაუმსახურებელი გაქირდვით ანთებულმა, ავტომატი გადმოიღო, წამოდგა და ცეცხლი მიუშვა გაქცეულებს. ის იყო უკანასკნელი ჯარისკაცი დაეცა მისმა ტყვიამ, რომ თვითონაც მოთიბულივით გადავარდა გვერდზე.

გრიალებდნენ აფეთქებანი, ისმოდა ნაღმთა შხუილი, წვრილად, გამკაწრავად სტვენდნენ ტყვიები და ნაღმთა ნამსხვრევები.

ტანკები შეთხელდნენ. ახლა ჯავშანტრანსპორტი მოდიოდა ჭარბად, აფეთქებებს შორის მეავტომატენი მორბოდნენ.

— ჯოტო! — ამოიხრიალა ფიდიამ.

ჯოტო ბურანიდან გამოერკვა, ფიდიას მისწვდა, ის მკვდარივით გაფითრებული იყო; გაუბედავი საყვედურით მბჟუტავი თვალებით შეხედა მან ჯოტოს:

— განაგრძე ბრძოლა ჯოტო, ცოტნეს არ მოშორდე... ის მოგეხმარება, მას მკვდარსაც შეუძლია მოხმარება, მე კი უკვე გავათავე.— მეტი ვერაფერი თქვა, სახე მიაბრუნა.

— ფიდია, ფიდია! — შესძახა ჯოტომ, თავისკენ მოსწია, — არა, არ მიმატოვო, არ შემიძლია მარტო... ცოტა დაიცადე, შეხედე, შეხედე რამდენი არიან...

მტრის სამი ჯარისკაცი მორბოდა ჯოტოსაკენ. არ ისროდნენ, ისინი ხედავდნენ დაჭრილთან დახრილ მებრძოლს და ცოცხლად უპირებდნენ ხელში ჩაგდებას.

ჯოტო წამოდგა და ფიდიაც აითრია. ცალი ხელით ეჭირა მისი მოდუნებული სხეული. იდგა და უცდიდა მტერს. გვნებდებაო, შორიდანვე შეჰქმნეს მათ ღრიანცელი. უკვე ოციოდე ნაბიჯზე მოახლოვდნენ, როცა ჯოტომ გრანატი სტყორცნა, მერე მეორე ხელიც მოხვია და მკერდზე მიიხუტა მეგობარი.

— ფიდია, ფიდია, მარტო ნუ დამტოვებ ბიჭო თვალები მაინც გაახილე და შიყურე! — ევედრებოდა ჯოტო; ფიდია გონზე არ მოდიოდა. მათ მახლობლად რამდენიმე ყუმბარა დაეცა, ჯოტომ წაიბორძიკა, ფიდიას მაინც არ შეუშვა ხელი, იქვე მიწაზე მიასვენა და თოფისაკენ გაიწია. ვერ მისწვდა იარაღს, ყუმბარები ზედიზედ სკდებოდნენ ირგვლივ.

ჯოტოს ყურში ესმოდა ლითონის წივილ-ზუილი, საიდანღაც შავი და მძიმე კვამლი მოლოლავდა, წამოიწია. ნაღმის ნამსხვრევმა მუზარადი წაჰგლიჯა, მეორე ნამსხვრევმა იღლიის ქვეშ გაუარა რბილში. ეს ისე მიიჩნია თითქოს ასედაც უნდა მომხდარიყო. ფრონტზე ხომ ყველაფერს ეჩვევა კაცი.

ფიდიას სახე ჯოტოს მხარეს ჰქონდა მობრუნებული. გონზე მოსულმა რაღაცის თქმა დააპირა, ამაოდ ამოძრავებდა გამშრალ ტუჩებს.

ჯოტო მისკენ გადაიხარა, ხელი გადაუსვა შუბლზე, ცივი ოფლი მოსწმინდა.

ფიდია დამშვიდდა, ტკივილს ისე მწვავედ აღარ გრძნობდა, მისი ერთად ერთი სურვილი იყო ეთქვა რაღაც, როგორც ეტყობოდა მისთვის ძალიან საჭირო და რომ ვერ ახერხებდა, მწარედ აშტერებდა უსიცოცხლო თვალებს.

— რა გინდა ფიდია? — ჰკითხა ჯოტომ. წამოიჩოქა, ფიდია წამოსვა და ირგვლივ მიმოიხედა.

— ხედავ ფიდია? არც ერთი ტანკი არ გაგვიშვია ჯერ. — უთხრა ფიდიას; ახლა თვითონ უნდოდა მიმოეხედა, მის ახლოს სამგან დაეცა ყუმბარა. ჯოტო ფიდიას გადაეფარა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ხელებით დაეცა მიწაზე, რომელსაც ცეცხლი ეკიდა. მთელი მკერდი ეწვოდა, იარას შეეხო, რაღაც თბილი და რბილი მოხვდა ხელში. ხორცის ნაგლეჯი ეგონა, თვალთან მიიტანა. ავგაროზი იყო სისხლით გაჟღენთილი, ჭურვის ნამსხვრევს გაეგლიჯა იგი.

— დედა! — წაიჩურჩულა იმედით და წამით გაიხარა, მიწა გამეხმიანაო მიეჩვენა, ისეთი მოკრძალებით და რიდით გადაუსვა ხელი გადამწვარ და სისხლიან მიწას, თითქოს დედის მკერდს შეხებოდეს. თბილი იყო მიწა, დედის მკერდივით თბილი. ჯოტო მთელი ტანით და სახით დაეკრა მას.

— არ დაგანებებთ, ძაღლებო! — ლუღლუღებდა ბრაზით.

კვლავ დაიწყო სროლა. ბორცვს იქით მძიმე ტანკების მუხლუხები ხრჭიალებდნენ.

— ადექი ჯოტო.

შეესმა მას ფიდიას მისუსტებული ხმა. ჯოტომ წამოიწია.

ფიდია ღიმილით შესცქეროდა: მან იცოდა, ჯოტო ადგებოდა, ის მართლაც ადგა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და იქ შედგა, სადაც მისი თოფი ეგდო.

ჯოტო იდგა ბოლომდე სავსე, წინ გადახრილი შეჰყურებდა ზოზინით მიმავალ ტანკებს. შეატყო რომ ტანკი უსათუოდ გაიჭრებოდა ჩვენი საბრძოლო პოზიციისაკენ. მისი სახე დაფიქრებული და პირქუში იყო. ერთი ტანკის გაშვებაც გზას უხსნიდა მტერს. გარშემო არავინ იყო მომხმარი, იმედის მომცემი, თუმცა მისთვის სულერთი იყო ახლა ყველაფერი. მან სრული სიცხადით წარმოიდგინა — უნდა იბრძოლო მხოლოდ, უნდა იბრძოლო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

მისი ფიქრის ყოველი გაელვება, გულის ყოველი ჩქამი, სხეულის ყოველი მოძრაობა და თვით სუნთქვაც კი ერთ სურვილს ემორჩილებოდა და ის გრძნობდა, რომ ასეთი დიდი, მაღალი და წმინდა სურვილი არასოდეს არ ჰქონია მას. ის იმასაც გრძნობდა, რომ მისი დაჭრილი სხეული ამ სურვილთან ერთად მთელდებოდა, ძალას იკრებდა, ბალზამი ედებოდა ჭრილობაზე, უშუშებდა. ეს ბალზამი გულსაც უამებდა, სულს უმხნევებდა.

— დედას გიტირებთ,—შესძახა მან მთელი თავისი ხმით და წავიდა წინ. მიდიოდა, მიაბიჯებდა გადაბუგულ მიწაზე, უნდოდა თოფი აეწია და ვერ დასძლია. რამდენჯერმე სცადა სასროლის მომარჯვება, ბრაზით გადააგდო ჯავშანსამტვრევი.

თვითონაც შებარბაცდა, არ წაიქცა, შეისვენა. ტანკი უდარდელად და აუჩქარებლად მოდიოდა. არ ისროდა, ქვემეხის ლულა ძირს ჰქონდა დაშვებული.

ტანკის თავხედურმა სითამამემ ბრაზით აანთო ჯოტო. მან გადასწყვიტა უკიდურეს შემთხვევაში ქვეშ შევარდნოდა ურჩხულს და აი, წამით შედგა სამშობლოსთან გამოთხოვების წინ. შეხედა ცას, მინდორს: მაშინაც შემოდგომა იყო ოდიშში, ასეთივე ბინდი ეფინა თეთრი წყლის ნაპირს. ასევე იდგა შავაია მის წინ ვარდისფერ კაბაში, შიშველს რომ ამსგავსებდა მოცისფერო მწუხრში. თვალები დახრილი ჰქონდა, სახე ბედნიერი ადამიანის აღელვებით უღიმოდა, ხმაში კი ფარული ნაღველი კრთოდა: „არც დღე იქნება აწი ჩემთვის და არც ღამე, მე ვილოცებ შენზე, მე სულ შენთან ვიქნები...“

ჯოტომ სახეზე ხელი აიფარა. „არა, აღარ იქნები აწი არასოდეს ჩემთან შავაია“. — ამოიკვნესა და ტანკს მიაშურა, ის იყო უნდა დასძგერებოდა ტანკი, მაგრამ მან უფრო ინერციით, ვინემ თავის ნებით განზე გაიწია და გრანატების შეკვრა მუხლუხებში შეაგდო.

სიკვდილთან კაცი ღონიერდება თურმე, თორემ სად ჰქონდა იმდენი ძალა, რომ ხუთი ადლით გადამხტარიყო განზე ყუმბარის მიერ გათხრილ ორმოში. საშინელმა გრუხუნმა გააბრუა; ჯოტო ერთხანს უცდიდა, ბოლომდე მაინც ვერ მოითმინა, ორმოდან ამოვიდა და დაზიანებული ტანკისთვის არც კი შეუხედავს, ისე გასწია წინ.

მახლობლად ავტომატი აკაკანდა.

„მე მესვრიან, ვერ მხედავენ, რომ ტყვია არა მკლავს, ვერ მომკლავენ, ვერა“...

მოკლულ მტრის ჯარისკაცს ავტომატი ააცალა. საშინლად მძიმედ ეჩვენა იარაღი, ძლივს გაიმართა. მისკენ ქვეითი ჯარისკაცები მორბოდნენ.

ჯოტო ბუნდოვნად ხედავდა მათ. „ნუთუ გათავდა ყველაფერი? ნუთუ იმდენი ძალა აღარ შემრჩა, მოვიმარჯვო ეს პატარა ავტომატი და სასხლეტს მოვწიო“. მუხლები ეკეცება, უჩვეულო სიცივე შეუჯდა მთელ ტანში, მაგრამ დენივით გაჰკრა და გაუარა. მერე ბურუსი თანდათან განშორდა და იმან, რაც მას მოეჩვენა, ერთბაშად შემართა მთელი მისი უღონო სხეული. გუშინ საღამოს, სადგურზე რომ ნიავმა მოჰბერა, ის ნიავი მოხვდა სახეში, ამიტომ გასწორდა გუშინდელივით, მხრები გაშალა, თავი მაღლა ასწია.

რა მსუბუქი ყოფილა სასროლი. მას კი რა მძიმედ ეჩვენებოდა ერთი წამის წინ. ნაბიჯიც გადადგა, ერთი, მეორე. წეღან ფეხზე დგომასაც ვერ ახერხებდა, ახლა სირბილიც მოუნდა. — „ას ხელს გამოვიბამ — და ას ხმალს დავიჭერ“... თავი ასწია, თითქოს ჯანსუღს შეხედაო. „ასი წვეთი სისხლით ავრეცხავ ერთ წვეთ სისხლს“... განიმეორა ჯოტო მუქარით და სასხლეტს მოსწია. მიისწრაფოდა წინ, სიკვდილის ცელივით იქნევდა სასროლს. ცეცხლით თიბავდა მტერს და ზედ აბიჯებდა.

მაშინ შედგა წინ რომ არავინ იყო ცოცხალი. მიმოიხედა, მკლავი მოისვა ოფლიან შუბლზე, კმაყოფილებით გადახედა თავის ნამოქმედარს.

— „შენს ერთ წვეთს სისხლს“... — ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა მკერდში; მუხლზე დაეცა, გვერდზე მოკლული მტრის ჯარისკაცი ეგდო. შეშინდა მას არ დასცემოდა, ზიზღით გაიწია განზე ავტომატზე დაყრდნობილმა და გადავარდა.

„ახლა კი ყველაფერი გათავდა, მაგრამ არა, არ მოვკვდები“. შეირხნენ სიცხით დამსკდარი ტუჩები. ისევ ბურუსი ჩაუდგა თვალებში, ეგონა საცერი ამაფარესო. საცერი კი არა, შეჭირხლული ფანჯრის მინა. როგორ უყვარდა ბავშვობისას ფანჯრის მინა რომ შეიჭირხლებოდა. რამდენ საოცარ აზრებს და სურათებს უხატავდა, უჩინარი ხელით ათასგვარად მოქარგული შუშა. საათობით მჯდარა ზამთრის დღეებში ასეთ ფანჯარასთან. მაშინაც ციოდა ოთახში, მაგრამ ახლა ძვალრბილს უხვრეტს ყინვა, მთელ მკერდზე შემოაწვა ყინული, ტანი გაეთოშა, აღარაფერს ხედავს გარშემო.

უკანასკნელად რაღაც გრიალი შეესმა. ჯოტო ჩაეჭიდა მიწას, ჩაეკრა, ხელებგაშლილი იწვა თავდაღმა და უღონო მკლავებით ამაოდ ცდილობდა თავისკენ მოეხვეტა მიწა „არ დაგანებებთ“. ლუღლუღებდა იგი.

ირგვლივ ყუმბარები სკდებოდა. ცოცხლად იმარხებოდა მიწაში, ამას არ გრძნობდა, არც იმას გრძნობდა, რომ სხეული თანდათან ეყინებოდა, ხდებოდა ცივი როგორც მიწა, რომელიც სულ ეყრებოდა და ეყრებოდა ყოველ მხრიდან...

გონს მოვიდა, მაგრამ არაფერი ესმის და არაფერს ხედავს. ნეტა სად არის? თვალის გახელა სცადა. ქუთუთოებზე აუტანელი სიმძიმე აწვა. უნდოდა ხელი მოესვა და ხელიც ვერ ასწია. ის აუტანელი სიმძიმე მკლავებზედაც დაწოლილიყო. ამოკვნესა მოინდომა, მკერდი ჩაზნექოდა სიმძიმისაგან და თურმე არც სუნთქავდა. წეღან ნაღმის ნამსხვრევმა მკერდში გაჰკრა. საშინლად ცივი იყო ლითონი, ახლა კი მკერდში რაღაც წვავს, სული ეხუთება. რატომ ვერ სუნთქავს? ცხვირი მიწით აქვს გამოტენილი, პირიც, ყურიც; თვალებიც, მუჭშიაც მიწა აქვს და ზევიდანაც მიწა აყრია.

სუუ! ეს რა ხმაური მისწვდა მის ყურს? ეს ხომ საერთო შეძახილია, მაშ ჩვენი დივიზია მოსულა, დიდ დროს არ გაუვლია თურმე. გაახსენდა წეღან ყუმბარა რომ აფეთქდა მის გვერდით, იმან დამარხა ალბად.

„ვაშააა“, — თანდათან ახლოვდება ათასი კაცის შეძახილი. საშინელი ბაგა-ბუგი გაისმა მის ახლოს. ეს მათი ფეხის ხმაა, ისინი ჩაურბიან გვერდით; ბაგა-ბუგი კი არ წყდება. აღარ თავდება, მოდიან და მოდიან, გადარბიან მის ახლოს, მისდევენ მტერს.

როგორ უნდა წამოდგომა, მათ კი არ ესმით მისი გულისთქმა, კიდევ ცოტა და ჯოტო გამოეთხოვება სიცოცხლეს. ფეხზე, რომ იდგეს თავიდან დაიწყებს ბრძოლას. კიდევ შესძლებს ერთ იმდენს, რაც აქამდე გააკეთა. გააკეთა კი ბევრი, არც ახსოვს რამდენი ტანკი და თვითმავალი მოსპო. ვინ იცის მტრის რამდენ ჯარისკაცს მოუსწრაფა სიცოცხლე.

იხრჩობა, მის ახლოს ისევ მირბიან და მირბიან. ერთი წუთით ისევ დაკარგა გრძნობა და როცა კვლავ გონზე მოვიდა, ერთბაშად წამოიწია, წამოჯდა, ხელი ჩამოისვა სახეზე, მკერდზე. კვლავ ავგაროზი მოხვდა მუჭში.

სიხარულით ამოიხრიალა. ისე ჩაეჭიდა ავგაროზს, როგორც სიცოცხლეს. გულზე მიიკრა ძვირფასი ნივთი. რაღაც საამო ტკივილმა დაუარა მთელ სხეულში. ეს ტკივილი სიცოცხლეს უბრუნებდა მას და ეს სიცოცხლე დედისაგან და შავაიასაგან მოდიოდა.

წამოდგა ჯოტო.

შორს, ბორცვს იქით ისმოდა „ვაშა“

ჯოტო წავიდა იქით. „წინ“ ეუბნებოდა გული. „წინ“, მხოლოდ „წინ“, მოუხმობდა გონება. ეს „წინ“ იყო სისხლიანი გზა, სიცოცხლის გზა და მკვდრეთით ამდგარი ჯოტო, კვლავ დაადგა ამ გზას. მიდიოდა ავარვარებულ ტანკების, თვითმავლების, გადაბრუნებულ ჯავშანტრანსპორტის, მოკლულ და დაჭრილ მტრის ჯარისკაცებს შორის, ფეხი არ ემორჩილებოდა, მაგრამ ფეხს კი არ მიჰყავდა წინ, გულს, რომელიც ასი ხმლით გაუსწორდა მტერს. მტრის სისხლზე მიაბიჯებდა გამარჯვებული, მიდიოდა ისე, თითქოს ჭაობში მიაბოტებსო.

---

*) დასასრული. იხ. „ლიტ. და ხელოვნება“ № 8 (61), 10 (63).

„ქართული ხელოვნების ისტორია“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა კულტურის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმმა—მეტეხმა გ. ჩიქოძის რედაქტორობით გამოსცა პროფ. შ. ამირანაშვილის დიდტანიანი შრომა „ქართული ხელოვნების ისტორია“. ამ წიგნის გამოსვლა მეტად დროული და ღირსშესანიშნავი საქმეა. მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორიის მქონე ქართული კულტურის შესწავლაში იგი წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერული აზრის სიმაღლეზე მდგომ ახალ სიტყვას, რომლის მიზანია მოგვცეს ქართული ხელოვნების ძეგლთა თანმიმდევრობითი ანალიზი მის დასაწყის, უძველეს პერიოდიდან და დაუკავშიროს იგი ხელოვნებათა განვითარების ზოგად ისტორიულ პრობლემებს.

წიგნი იწყება ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებულ მატერიალური კულტურის ძეგლთა დახასიათებით (პირველი ათეული წლებით დათარიღებული მასალით) და თავდება VII საუკუნის არქიტექტურის, ფერწერის და ხელოვნების სხვა დარგთა განხილვით.

შესავალში მოკლედ მოცემულია საგნის შესახებ არსებული მეცნიერული ლიტერატურის მიმოხილვა. ქართული ხელოვნების შესწავლის ისტორია სათავეს XVIII საუკუნიდან იღებს. ცნობილი გეოგრაფის ვახუშტის და ტიმოთე გაბაშვილის ცნობისმოყვარეობითი შენიშვნების შემდეგ, წიგნში ნაჩვენებია ის ცხოველი ინტერესი, რითაც ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერები სწავლობდნენ საქართველოს კულტურის ძეგლებს. აქ აღნიშნულია დიუბუა-დე-მონპერეს, მარი ბროსეს, დ. ბაქრაძის, ალ. ცაგარელის, დ. ჩუბინიშვილის, ექვთ. თაყაიშვილის, ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას და სხვა მკვლევართა, ისტორიკოს-არქეოლოგთა ღვაწლი ხელოვნების ნაწარმოებთა მოპოვება-შეგროვებისა და შესწავლა-დაცვის საქმეში.

ამ მიმართულებით დიდი ისტორიულ-არქეოლოგიური და შემეცნებითი ღირებულების მქონე შრომა აქვთ გაწეული აკად. ნ. მარს და აკად. ივ. ჯავახიშვილს, რომელთა ფართო საკვლევაძიებო შრომებში ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ, ხოლო აკად. გ. ჩუბინაშვილი, ჯერ კიდევ 1918 წლიდან, სისტემატურ კვლევით მუშაობას აწარმოებს ამ დარგში. მის კალამს ეკუთვნის 1936 წ. გამოსული შრომა „ქართული ხელოვნების ისტორია“ (ტ. I). მანვე მოგვცა პირველად ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების ზუსტი მეცნიერული დახასიათება.

წიგნის ავტორის ნათლად აქვს ნაჩვენები ის უდიდესი მიღწევები, რომელნიც ქართული ერის წარსულის შესწავლის ხაზით, საბჭოთა საქართველოს პირობებში იქნა მოპოვებული.

შრომის მნიშვნელოვანი თავები დამყარებულია იმ ძვირფას არქეოლოგიურ მასალაზე, რომელიც აღმოჩენილი იქნა უკანასკნელ წლებში საქ. მეცნიერებათა აკადემიისა და საქ. სიძველეთა დაცვის კომიტეტის მიერ მოწყობილი, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე გათხრების შედეგად. პირველი სწარმოებდა მცხეთა-არმაზის მიდამოებში (ჯერ აკად. ივ. ჯავახიშვილის და შემდეგ აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით), ხოლო მეორე თრიალეთში (პროფ. ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით), ამ გათხრების მონაცემებმა ახალი ფურცელი ჩასწერეს ქართული კულტურის შემსწავლელ მეცნიერებაში, მათ საშუალება მოგვცეს „თვალსაჩინოდ გავაფართოვოთ კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო“ და თვალნათლივ წარმოვიდგინოთ ქართული ხელოვნების წინა ისტორიული ეტაპი რამდენიმე საუკუნის მანძილზე, რომელზედაც მეცნიერებას აქამდე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

პალეოლითურ და ნეოლითურ ხანათა მოკლე დახასიათებისას, რაც მოცემულია იმ არქეოლოგიური მასალის მიხედვით, რაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზეა აქა-იქ ნაპოვნი, ავტორი სავსებით მართებულ თვალსაზრისს ადგია, რომ „საქართველოს არქეოლოგია და ძველი ხელოვნება, მიუხედავად თავისებურებისა, განხილული უნდა იქნეს როგორც კავკასიის ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის განსაზღვრული ნაწილი“.

ეს თვალსაზრისი, — შეხედულება, რომ ქართული ხელოვნება ორგანულ კავშირშია მთელი კავკასიის ისტორიულ კულტურასთან, —წიგნში ბოლომდეა გატარებული.

ნეოლითური და ბრინჯაოს ხანის ხელოვნებათა ძირითადი ნიმუშების განხილვის ნიადაგზე, ავტორი ადგენს, რომ საქართველოში ლითონის ინდუსტრიას ხანგრძლივი ისტორია აქვს, იგი განვითარებული ყოფილა ჩვენში მესამე ათასეულის მეორე ნახევრიდან (ჩვ. წ-მდე) და რომ მას საქართველოსა და კავკასიაში სამი საფეხური გაუვლია.

ძველი საისტორიო წყაროების ჩვენებით ცნობილია, რომ ქართველთა ტომები განთქმულნი იყვნენ რკინისა და მადნეულობის დამუშავებით, ამიტომ მეცნიერება ფიქრობს, რომ მჭედლობისა და სამადნო წარმოების უპირველესი კერა საქართველოში იყო მოქცეული. თავს უყრის რა ამ საკითხზე გამოთქმულ შეხედულებებს, პროფ. შ. ამირანაშვილი ვრცლად იხილავს ამირანის ზღაპრულ ეპოსს, რომელშიც, როგორც ცნობილია, რკინას და რკინის დამუშავებასთან დაკავშირებულ ცნებებს (მჭედელი სამჭედლო, ჯაჭვი) გარკვეული მაგიური მნიშვნელობა აქვთ.

ამის საფუძველზე იგი დაასკვნის, რომ „ამირანი წარმოადგენს კოსმოსურ გმირს, მზის განსახიერებას, რომელიც ცასთან, რკინასთან და მჭედლობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. იგი ყოველგვარი ხელოსნობისა და ხელოვნების დასაბამია და მფარველი (გვ. 63).

სიტყვა „რკინის“ ენობრივი ანალიზის შემდეგ, რომელშიც აკად. ნ. მარი ბიბლიაში მოხსენებულ „თუბალ-კაინის“ ანუ ჭანებისა და ლაზების სატომო სახელწოდებას ხედავდა, ავტორი მხატვრულ-ისტორიულ თვალსაზრისით იხილავს სტეფანწმინდაში აღმოჩენილ მცირე ზომის ქანდაკებებს ადამიანთა და ცხოველთა (განსაკუთრებით ცხენის) გამოსახულებით, რომელთა სტილს ხეთურ ხელოვნებასთან აქვს კავშირი. ამ ძეგლების შესწავლას ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „სტეფანწმინდის განძის ხელოვნების ნიმუშები მეტყველებენ, რომ ჩვენში, რკინის ინდუსტრიის განვითარების პერიოდში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მე-6-7 ს. ს. ჩვ. წ-მდე, მკაფიოდ სჩანს ქართული მხატვრული კულტურის განვითარების ახალი საფეხური, რომელიც გენეტიკურად ბრინჯაოს ხანიდან მომდინარეობს. მას აქვს შორეული კავშირი მცირე აზიის ხელოვნების გარკვეულ წრესთან, მაგრამ არსებითად იგი წარმოადგენს ავტოქტონურ მოვლენას, იგი თავისი სიუჟეტური შინაარსით მხატვრული ფორმის გაგებათა და შემეცნებით, აიხსნება მხოლოდ ქართული კულტურული კომპლექსის გათვალისწინების ნიადაგზე“. (გვ. 74).

მეტად საინტერესოა არმაზის სამარხებში აღმოჩენილი ორი შესანიშნავი ძეგლის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, რომელსაც ავტორი თავისი შრომის საგანგებო თავს უძღვნის: „ორი ლანგარი არმაზიდან ცხენის გამოსახულებით“ (გვ. 111-112) ეს არის ვერცხლის მოზრდილი ლანგრები (ფიალები) რომელთა ფსკერზე მაღალი ოსტატობით გამოსახულია ცხენის ფიგურა. ცხენი [illegible] (...ლის) წინაშე დგას [illegible] მოცემულია რეალისტური ექსპრესიით შინაგანი დინამიურობით [illegible] ლი კისერით, მჭიდროდ მიბჯენილი ფეხებით. ავტორი ამ გამოსახულებაში ღვთაება-ცხენის ფიგურას ხედავს. ცხენის კულტის შესახებ, რომლის არსებობა საქართველოში ძველი დროიდანაა ცნობილი, ავტორს მოჰყავს ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ენობრივი მასალები, რომელთა საფუძველზე ცხენის გაღმერთებას ქართველთა მიერ იგი მითრას ცნობილ კულტს უკავშირებს, იგი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ მთელ რიგ გეოგრაფიულ სახელებში ცხენის ცნებაა ჩაქსოვილი (ცხენის წყალი, უნაგირი) სხვათა შორის, აქ ავტორს უნდა შევნიშნოთ, რომ შეხედულება თითქოს სიტყვა „უნაგირის“ მეორე ნაწილი (-გირ) სვანური ენიდან მოდიოდეს (როგორც მთის სახელწოდება), არ არის სწორი. ეს სიტყვა, როგორც ამას მარი აღნიშნავს, სპარსულიდანაა ნასესხები. პირველი ნაწილი (ასპმუნე) ცხენს აღნიშნავს, ხოლო მეორე ნაწილი (-გირ) ისეთივე ფუნქციის მქონე სუფიქსია, როგორც იმავე რიგის სხვა სიტყვებში: ჯაჭვაგირი, ქაფგირი, ალამგირი და სხვ.

ცხენის მეორე გამოსახულება სტილით პირველის მსგავსია, მაგრამ პოზით, მისგან განსხვავდება, წინა მარჯვენა ფეხი მას მოწიწებით აწეული აქვს ბომონზე უფრო მაღლა და იგი ავტორის აზრით, ზვარაკად შეწირულ ცხოველს წარმოადგენს. ხსენებულ ლანგრებს ავტორი 1902 წ. ბორში (იმერეთში) ნაპოვნ მსგავს წარწერიან ვერცხლისავე თასის მეშვეობით ათარიღებს, მათი შექმნა I საუკუნეს არ უნდა გადმოსცილდესო (ჩვ. წ-ით), როდესაც ცხოვრობდა წარწერაში მოხსენებული ბუზმიჰრ პიტიახში. საერთოდ ლანგრის მხატვრულ ხელოვნებას ავტორი მჭიდროდ უკავშირებს ელინურ-რომაულ კლასიკურ ხელოვნებას.

წიგნის შემდგომი თავები ეძღვნება მე-5-7 საუკუნეების არქიტექტურულ ძეგლებს, მონოგრაფიულადაა შესწავლილ-დამუშავებული ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვრის დიდი და მცირე ტაძრები, შუამთა, ატენის სიონი, წრომის ტაძარი, ცალკეა წარმოდგენილი ამავე პერიოდის კედლის მხატვრობა, ოქრომჭედლობა, ლითონის ქანდაკება და სხვ.

მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის ღრმააზროვანი ანალიზის შედეგად, ნაჩვენებია, რომ „მე-5-7 საუკუნეები ეს არის ქართული ხელოვნების აყვავების ეპოქა, რომელიც (განსაკუთრებით რელიგიური არქიტექტურა) უდიდეს მხატვრულ ოსტატობას აღწევს, [illegible] პოულობს ორიგინალურ მხატვრულ ფორმებს და ჰქმნის საკუთარ სტილს“ (გვ. 192).

წიგნი 201 გვერდს შეიცავს, დართული აქვს 116 ტაბულა, სადაც წიგნში განხილული ძეგლების ყველა სურათი და სქემაა წარმოდგენილი. ტექსტი, რომელიც ზუსტი და გასაგები ქართულითაა დაწერილი, სამწუხაროდ, არ არის დაზღვეული კორექტურულ შეცდომებისაგან. საჭირო იყო წიგნს ბოლოში დართვოდა რეზუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, როგორც ეს საერთოდ მიღებულია მეცნიერული შრომებისათვის.

ილია მაისურაძე

ლენინგრადის კულტურის ძეგლთა აღდგენა

ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლენინგრადის ფილიალში მხატვრებმა სერებრიანმა და ბერზინშმა დაამთავრეს თექვსმეტი სურათის რესტავრირება, რომლებიც დაზიანდნენ ბლოკადის დროს. აღდგენილ სურათებს შორის არის ცნობილი სურათები რილოვისა—„ლენინი რაზლივში“, ნეიმარკის —„სტალინი ბალტიელ ბოლშევიკთა შორის“ და სხვა.

* * *

ლენინგრადის ქალაქის საბჭოს ხელოვნების სამმართველომ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ რიგში აღმოჩენილია ხელოვნების უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც გაიტაცეს გერმანელებმა ლენინგრადის გარეუბნების სასახლეებიდან ბერლინში წასაღებად.

აღმოჩენილ ნიმუშებს შორის არის 500-მდე სურათი, რომლებიც ამშვენებდნენ ლენინგრადის გარეუბნების სასახლეებს, გატჩინის სასახლის ორასი ათასამდე ძვირფასი ნივთი და სასახლეთა ფოტოსურათების ხუთი ათასი ნეგატივი.

* * *

ლენინგრადის ბლოკადის დროს ძალიან დაზარალდა კიროვის სახელობის სახ. ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დეკორაციების საწყობი, სადაც ინახებოდა კოროვინის, გოლოვინის და სხვა გამოჩენილ მხატვარ-დეკორატორთა მხატვრული ტილოები. ეს ნამუშევრები თითქმის მთლიანად დაზიანდა. დაიღუპა აგრეთვე ამ დეკორაციების ესკიზები.

ცნობილმა მხატვარ-დეკორატორებმა ს. ევსეევმა, მ. ზანდინმა და ნ. მელნიკოვმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს. მათ თავიანთი მახსოვრობის მიხედვით აღადგინეს შვიდი დადგმის დეკორაციები. ამ დეკორაციებს შორის არის „მძინარე მზეთუნახავის“, „თავადი იგორის“, „დონკიხოტის“ და სხვ. დადგმათა დეკორაციები.

დიმიტრი ქუმსიშვილი

დაბრუნება*)

I

— ამაღამ სულ აღარ ისვრიან. წუხელ კიდევ იყო კანტი-კუნტი სროლა. ახლა კი მთლად გაჩუმდნენ, ესენიცა და ჩვენებიც, — ჩაფიქრებით თქვა პატარა ბიჭმა, თქვა ისეთი კილოთი, თითქოს სწყინდა, რომ აღარ ისროდნენ.

ხელნათურის ყვითელი შუქი ძნელად ერეოდა სიბნელეს, და ოთახში ბუნდოვანი სინათლე იდგა.

გარეთ უგემურად წვიმდა, ზანტად.

სოფელში სიჩუმე იყო. ძაღლებიც კი არ უყეფებოდნენ, ხალხი გერმანელების შიშით, გერმანელები ხალხის შიშით, გარეთ ვერ გამოდიოდნენ. სოფლელებისათვის აკრძალული იყო დაბინდების შემდეგ გარეთ გასვლა. ფანჯრებიც დახურული იყო, დარაბებიც. კლუბის შენობაში სადაც გერმანელი ჯარისკაცები ცხოვრობდნენ, დროგამოშვებით ისმოდა ლაპარაკი და ლურსმნიანი ფეხსაცმლის ბრახუნი კიბესა და აივანზე. მერე ისევ ჩამოწვებოდა სიჩუმე.

სოფელში გერმანელები პირველად, ამ ორი წლის წინად შევიდნენ. მაშინ ამ სოფელთან დიდი ბრძოლა არ მომხდარა, წითელმა ჯარმა, გეგმის თანახმად, მწყობრად დაიხია.

ცოტა ხანს იყო გერმანელების ჯარი ამ სოფელში, სულ რაღაც ორიოდე კვირას. შეჭამეს სოფელი: გლეხს თავისი ქათამი, კვერცხი ძროხა, ცხვარი გულმშვიდად ვერ შეენახა, ერთხელაც იქნებოდა, მოვიდოდნენ ხოლმე გერმანელი ჯარისკაცები და წაიღებდნენ, რაც თვალში მოუვიდოდათ.

ორი კვირის შემდეგ, როცა ფრონტმა აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლა, გერმანელი ჯარისკაცებიც წავიდნენ სოფლიდან. დარჩა მათი ხელისუფლება, ხანდახან თუ გამოჩნდებოდა ხოლმე მტრის რომელიმე რაზმი, გზათ მიმავალი, ან პოლიცია, და მაშინ ხელახლა იწყებოდა ძარცვა და ძალადობა.

ახლა, ორი წლის შემდეგ, ფრონტი ისევ მოადგა სოფელს. ამჯერად აღმოსავლეთიდან დაიძრა, უკუქცეულ გერმანელებს მოსდევდა.

სოფელი ჭაობებში იყო. მაღალი, გაუვალი ტყე და საფლობები ერტყა გარშემო. განიერი, ღრმა მდინარე ჩაუდიოდა აღმოსავლეთით.

მდინარის მარჯვენა, მაღალი ნაპირი გერმანელებმა ძალიან გაამაგრეს. აქ გადიოდა ერთად ერთი მისადგომი გზა, ყამირი ადგილებიც აქ იყო, და აქ გამართეს გერმანელებმა აუარებელი საცეცხლე წერტილები, დადგეს ექვსლულიანი ნაღმმტყორცნები, არტილერია, გამართეს ბლინდაჟები, დათხარეს სანგრები სოფლის აღება ამიტომ გაძნელდა. მთელი კვირა არ წყდებოდა ბრძოლა. დასასრული კი არ უჩანდა.

მართალი თქვა ბიჭმა. ეს მეორე დღეა, რაც იკლო სროლამ. ამაღამ კი მთლად შეწყდა. წითელ არმიას აღარ მოჰქონდა იერიშები.

— ალბად ჭაობში გზა ვერ გაიგნეს ჩვენებმა.—უპასუხა დედამ ისე, რომ თავი არ აუღია წინდიდან, ხელში რომ ეჭირა და ქსოვდა.

— პეტრო რომ აქ იყვეს, ან მამა, იმათ იციან ჭაობში გზები, შემოუძღვებოდნენ ჩუმად ჩვენებს,—თქვა მარინამ.

ძმამ შეხედა დას. დაინახა მისი შავი თვალწარბი და თმა, თეთრწითური ლოყები, მრგვალი მხრები და ისეთივე ნაღველი მის სახეზე, როგორიც დედას ჰქონდა, თვითონ მიშასაც, და ისე ეგონა ამ პატარა ბიჭს, რომ ამ ნაღველით ოთახის ჰაერიც არის გაჟღენთილიო.

დის სიტყვებმა მიშას თავისი სურვილი გაახსენა. ბიჭმა პირი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ვერა ბედავდა თქმას.

ბოლოს მაინც წარმოსთქვა:

— რატომ არავინ გავა ჩვენებთან და არ შემოიყვანს, განა მამისა და პეტროს მეტმა არავინ იცის ჭაობში გზები? მამა მონადირე იყო, მაგრამ სხვებიც ხომ არიან.

— ბევრმა არავინ იცის. ვინც იცოდა, ზოგი ჯარს გაჰყვა, ზოგიც მამაშენივით, გერმანიაში წაიყვანეს, ვინც დარჩა, ან მოხუცია, ან შენსავით ბავშვი,—უპასუხა დედამ.

— მე ვიცი ბილიკები,—გაუბედავად თქვა მიშამ.

— მერე?—შეხედა დედამ.

— შემიძლია გავიდე...

— ნუ სულელობ, სადმე ჩაეფლობი ჭაობში და ჩაიხრჩობი. ჯერ ბავშვი ხარ.

მიშამ ამოიოხრა.

ეზოში ძაღლმა შეჰყეფა. გავარდა რევოლვერი, ძაღლი გაჩუმდა. დედამ წინდის ქსოვა შეაჩერა და თავი ასწია. მარინა შეკრთა, ყველამ კარისკენ მიიხედა. გაისმა უცხო ენაზე ლაპარაკი—კლუბის შენობიდან ვიღაცამ დაიძახა და ამათი ეზოდან პასუხი გასცეს, მერე მიწყნარდა ხმაურობა, ორიოდე წუთით. კარზე დააკაკუნეს.

დედამ თვალით ანიშნა მიშას, თვითონ კი ქალს ჩამოუდგა წინ, უკან-უკან წავიდა, მარინასაც უკან-უკან დაახევინა და ლოგინსა და კედელს შუა კუნჭულში დამალა.

კარებში გამოჩნდა ჩასუქებული, დიდთავა, თვალებ დაბრიალებული გერმანელი უნტერი. ხელი თეძოზე ედო, რევოლვერის ბუდეს ისწორებდა.

მიშამ, ოჯახში ერთადერთმა მამაკაცმა, მოსული მოღუშულად შეათვალიერა, მერე დედას გადახედა. მოხუცი ფერწასული იდგა კუთხეში, ქალიშვილს ეფარებოდა და შეშინებული თვალებით ისიც უნტერს მიშტერებოდა.

გერმანელმა თვალი გადაავლო ოჯახობას— ხელნათურის მკრთალ ყვითელ შუქზე პური და ცივი მოხარშული კარტოფილი დაინახა მაგიდაზე, ამან თითქოს შეაყოყმანა გერმანელი, მაგრამ მალე მოვიდა გონს, თავი გაიქნია და დაიძახა;

— მატკა! იაიც, მასლა. შნელლ!—ფეხი წინ წადგა და ოთახის შუაში გაჩერდა. ოთახში სიჩუმე არ დარღვეულა.

— შნელლ! დონერ ვეტერ, ნოხ მალ[1] — იღრიალა ისევ გერმანელმა და თვალები დაუბრიალა დედაკაცს.

—ნემა!—დაილუღლუღა დედაკაცმა და ხელები გაასავსავა.

გერმანელი ჩექმების ბრახუნით მიიჭრა შკაფთან, გააღო და შიგ ფათური დაიწყო. რაღაც გადმოვარდა და გატყდა. ყველა შეკრთა, უნტერმა შუშის ნამტვრევებს დახედა, ხელი ჩაიქნია, მოშორდა შკაფს და შეტრიალდა. თვალი მიაპყრა სკივრს. ახადა თავი და ძველმანები ამოყარა. რაღაც ჩაიდო ფარაჯის ჯიბეში, ერთბაშად, ხელის ერთი მოკლე მოძრაობით, თითქოს მალავდა კიდეც. დედამ შეხედა მიშას. შვილმა მის თვალებში წაიკითხა—დედა, რაც უნდა ქნას, ილონე მოგვშორდესო.

ალბათ მოსაწონი ვერა ნახა რა უნტერმა სკივრში, მოშორდა მას და მოხუცისაკენ გადადგა ფეხი. იმავე წამს ქალიშვილი შეამჩნია.

— აა!—და რაღაც თქვა თავის ენაზე. მერე ხელი წაავლო მოხუცს, იქით გადააყენა და კუნჭულისაკენ გაიწია. დედა ისევ წინ გადაეღობა, გერმანელმა უსიტყვოდ გაუქნია იდაყვი და მკერდში გაარტყა. დედა ტკივილისაგან დაიმანჭა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ დაიძრა. მარინა სულ მიიკუნჭა, კედელს აეკრა. უნტერმა მკლავები დაუჭირა მარინას და საკოცნელად გაიშვირა ტუჩები.

მიშამ დაინახა დის სახე—მიტკლის ფერი ედო, თითქოს სისხლისაგან დაცლილაო. შავი, დიდრონი თვალები უფრო გადიდებოდა. შიგ ზიზღისა და შიშის ნაპერწკალი ენთო, მთელი ტანით ცახცახებდა. ქალმაც გაიშვირა ხელები და გერმანელს მკერდზე ჰკრა, ღვინის სუნი ეცა ქალს. კუნჭულში ბრძოლა გაიმართა, და ყველამ იცოდა, ეს ბრძოლა დედის, მიშას, მარინას დამარცხებითა და უნტერის გამარჯვებით დამთავრდებოდა.

მიშა კანკალმა აიტანა. მის თვალწინ ხდებოდა ის, რასაც მისი ბავშვური გონება ბუნდოვნად სწვდებოდა. ბავშვი ხედავდა თავისი ოჯახის შეურაცხყოფას, დედისა და დის უმწეობას, და იცოდა, რომ ოჯახში ერთადერთი მამაკაცი მხოლოდ თვითონ იყო.

ქალი უხმოდ იბრძოდა. გერმანელი ქშინავდა.

მიშა ვერარას გრძნობდა, შეურაცხყოფის მეტს, ვერა რას ხედავდა, ნაჯახის მეტს, ლუმელქვეშ რომ იდო, იქ, სადაც მიშა ყოველთვის დადებდა ხოლმე შეშის დაპობის შემდეგ. ნაჯახი ახლაც იქ იდო, და ბავშვი მისი ყვითელი ტანის გარდა თითქოს ვეღარაფერს ხედავდა ოთახში.

გერმანელი მიეძალა, ქალი კედელზე მიჭყლიტა და ტუჩებით მისწვდა მის ლოყას. გაისმა ზიზღიანი ხმა ქალისა:

— ფუჰ!—და ქალმა ხელი მოისვა ლოყაზე და ნალოშნი ალაგი მოიწმინდა.

მიშა უსაზმოდ მოსწყდა ადგილიდან, დაიხარა, ხელებზე დაიფურთხა ჩვეულებრივ, ნაჯახის ტარს მაგრად მოსჭიდა ორივე ხელის თითები, რამდენიმე ბიჯი გადადგა და ნაჯახი შემართა. ისიც კარგად დაახსოვდა, რომ ფეხის წვერებზე აიწია, რადგანაც გერმანელზე დაბალი იყო.

ხმელმა ჩაკუნმა და დარტყმის ძალამ ნაჯახის ტარში გაიარა და მიშას მკლავებში გაექრიალა.

დედამ შეჰკივლა და მიშა თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ახალი საშინელება მოხდა. რა მოჰყვებოდა ამას, იმ წუთს ეს ვერ წარმოიდგინა, მაგრამ იგრძნო ამ დიდი ხიფათის აუცილებლობა და შეშინდა.

მიშამ იგრძნო—დედამ მხრებში წაავლო ხელი, კართან მიიყვანა, გააღო კარი, გარეთ გაიყვანა შვილი და მიაძახა:

— გაიქე, ბოსტნებზე გადაიარე და დაიმალე!

დედის ხმაში მუდარა, ბრძანება და შიშის ზარი ისმოდა.

უსიტყვოდ ჩაიკარგა მიშა ღამის წყვდიადში.

II

ლეიტენანტი პეტრო დოლჟენკო მთელი პოლკის სული და გული იყო. ადამიანს ხიბლავდა მისი მუდამ მოციმციმე, ოდნავ მოჭუტული, ლურჯი თვალები, სადაც გაუტეხავი გამბედაობის ცეცხლი კრთოდა.

აი უკვე ორი წლის განშორების შემდეგ დოლჟენკო ისევ მიუახლოვდა თავის სოფელს. მოვიდა აღმოსავლეთის მხრიდან.

მთელი ერთი კვირა ებრძოდა პოლკი ამ სოფელში გამაგრებულ გერმანელებს, გაძნელდა ჭაობების გადავლა.

სარდლობამ შეაჩერა იერიშები. სხვანაირი ხერხების ძებნა დაიწყო.

დოლჟენკო კოპებშეკრული დადიოდა. ახლა როცა თვალით ხედავდა თავის სოფელს, სულ რამდენიმე კილომეტრით რომ იყო მათგან დაშორებული, ხედავდა გზას, რომლის გავლაც სულ მოკლე დროში შეიძლებოდა, ხედავდა ნაჩვევ ჭალას, ბაღებს, სოფელში დიდრონ ვერხვებს, მაღალ ალვის ხეებს, თითქოს სახეში სცემდა მშობლიური კერის სურნელება, გული მართლაც ვეღარ უთმენდა.

დილით თავის პოლკოვნიკს გამოეცხადა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! ნება მიბოძეთ მოგახსენოთ!

— გისმენთ,—პოლკოვნიკი მიხვდა, რომ მარჯვე და გამბედავი ლეიტენანტი რამე საგულისხმოს იტყოდა.

— მე აქაური გახლავართ, აი, სწორედ იმ სოფლელი. იქა მყავნან დედა, მამა, ძმა, და. იქა ვარ გაზრდილი. მამა მონადირეა. ბევრჯერ ვყოფილვარ სანადიროდ, კარგად ვიცი ჭაობში ბილიკები, დანარჩენი თავისთავად გასაგებია. მეტი რაღა მოგახსენოთ.

პოლკოვნიკმა თვალებში ჩახედა ლეიტენანტს.

— გსურთ სოფელში შევაპაროთ მტერს?

— ცხადია!

პოლკოვნიკი დაფიქრდა.

— სიფრთხილეა საჭირო,—ჩაილაპარაკა მან და დაუმატა: კარგი, დამაცადეთ, მოვიფიქრებ.

III

მიშა ჭაობის პირად იდგა, ხშირ ლელში და ყური სოფლისკენ ჰქონდა. ნაჯახი ხელში შერჩენოდა. სოფელში დიდი ჩოჩქოლი იყო. ისმოდა ყვირილი. რამდენჯერმე გაისროლეს. ჩანდა ჯიბის ელექტროფანრის შუქები. ძაღლებიც ყეფდნენ.

— მეძებენ,—გაიფიქრა მიშამ,—რა მოუვათ დედას, მარინას,—ახლა იგრძნო რაღაც დანაშაული მათ წინაშე. შეურაცხყოფას გადავარჩინე, მაგრამ მათი სიცოცხლე ხიფათში ჩავაგდე,—გაიფიქრა და მთელმა მისმა არსებამ უცბად გაიწია სოფლისკენ.

ერთბაშად ცა განათდა. მიშა შეკრთა. გულმა შეჰხარა. ხანძარი იქ იყო, სადაც მათი სახლი იდგა. უმატა ფეხს. გარბოდა, რამდენადაც ნებას აძლევდა ჭაობის მერყევი ნიადაგი და ტალახი.

ცა წითლად კრთოდა. განათებული ბოლი გადაეფარა სოფელს.

ბექობზე ავიდა, სოფლის მოედნის პირდაპირ, ხეებს მოეფარა და მოედანს გადახედა.

გერმანელები ხალხს მიერეკებოდნენ, ბევრი უკვე კლუბთან მიეყვანათ, შეიარაღებული ჯარისკაცები დარბოდნენ ქუჩებში, სცემდნენ ხალხს, ყვიროდნენ, ისმოდა ტირილი.

— მთელი სოფელი დავღუპე,—გაიფიქრა მიშამ—მაგრამ, რა ჩემი ბრალია!

ხანძრით განათებულ მოედანზე დაინახა დედა, და, ხელებშეკრულნი. ჯარისკაცები სცემდნენ მათ.

მიშამ ვერ გაუძლო ამ სანახაობას, პირი იბრუნა და თავქვე გაიქცა, ისევ ჭაობთან მივიდა. სული მოითქვა და დაფიქრდა.

რაც მოხდა, მოხდა. ამას აღარაფერი ეშველებოდა, საჭირო იყო მოქმედება. დაწყებული საქმის გაგრძელება. ერთადერთი ხსნა მხოლოდ წითელ ჯარში იყო, აი ამ ჭაობის იქით.

და გაიქცა...

ერთბაშად წინ ადამიანის ხმა გაისმა. მიშა გაჩერდა, ყურები ცქვიტა, სუნთქვა შეეკრა. არ ეგონა, თუ ამ დროს აქ ადამიანს შეხვდებოდა. ის ბილიკიდან გადავიდა, ხშირ ლელში შევიდა და ნაჯახს ხელი მაგრად მოუჭირა. წყალი მუხლებამდე შეადგა.

კურდღელივით გაინაბა მიშა.

IV

პოლკოვნიკმა, მასთან საუბრის შემდეგ, საღამოთი დაიბარა ლეიტენანტი და თანხმობა მისცა.

და აი ახლა პეტრო წინ მიუძღოდა თავის ასეულს. ფრთხილად მიდიოდა, რევოლვერმომარჯვებული, მტერს წავაწყდებითო,—ეს კი არ აფიქრებდა, აფიქრებდა ბილიკის დაკარგვის შესაძლებლობა. რამდენი ხანია აღარ გაუვლია ამ გზაზე. მამას პატარაობისას დაჰყავდა ამ ადგილებში. ეს ამ ათი წლის წინათ იყო. მას შემდეგ თვითონ გამოიცვალა, ბევრი რამ დაავიწყდა. ჭაობიც გამოიცვლებოდა—ვინ იცის სით გადაიწია ჭაობის წყალმა. სიფრთხილე იყო საჭირო, და ლეიტენანტი იმდენად თავის მეხსიერებას არ ენდობოდა, რამდენადაც ჭაობიან ადგილს სიარულში გამოცდილი ადამიანის ალღოს.

(დასასრული მე-4 გვ.).

---

*) დ. ქუმსიშვილი დამწყები წითელარმიელი მწერალია. მისი ეს მოთხრობა ლიტერატურულად გადაამუშავა მწერალმა იოსებ ტატიშვილმა.
რედ.

[1] ჩქარა, ჯანდაბას თქვენი თავი.

მოსკოვის ქართული სტამბა

(მოსკოვში პირველი ქართული წიგნის გამოცემის დღიდან ორასორმოცი წლისთავის შესრულების გამო)

მიმდინარე წლის ორ აპრილს (ძველი სტილით 19 მარტს) ორასორმოცი წელი სრულდება მოსკოვში პირველი ქართული წიგნის გამოცემის დღიდან. საქართველოს საზღვრებს გარეთ ამოქმედებულ სტამბათაგან მოსკოვის ქართული სტამბა მეორე იყო; როგორც ცნობილია, პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნები გამოიცა რომში, 1629 წელს.

მოსკოვის სტამბის მიერ დაბეჭდილ „დავითნის“ თავფურცელზე ვკითხულობთ:

„სადიდებლად... სამებისა... მეფობასა დიდისა ბატონისა, მეფისა და დიდისა მთავრისა ყოვლისა დიდისა, ცოტასა და თეთრისა რუსეთისა, თვითმპყრობელისა და კეთილად შობილის პეტრე ალექსის შვილისა და მეფის შვილის დიდისა მთავრისა ალექსი პეტრეს შვილისა, ჩემ მიერ მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრესაი დაიბეჭდა წიგნი ესე დავითნი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს, წელთა დასაბამიდგან შვიდიათას ცამეტსა და განხორციელებითგან ღვთისა სიტყვისა ათას შვიდას ხუთს. ინდიკტიონსა ცამეტსა. თვესა მარტსა, 19“.

ამის მიხედვით, მოსკოვის პირველი ქართული სტამბის მოწყობის ინიციატორი და ამ სტამბის ერთად-ერთ გამოცემის („დავითნი“) რედაქტორი მეფე არჩილ მეორე ყოფილა. უკანასკნელი ათეული წლის გამოკვლევებმა შუქი მოჰფინეს არჩილის პოლიგრაფიული მოღვაწეობის საინტერესო ფაქტებს. დღეს ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვში 1705 წელს ამუშავებული სტამბის მოწყობას არჩილი მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელ ოცეულში შესდგომია.

1686 წლის დასაწყისში, როცა არჩილი პირველად ჩავიდა მოსკოვს სამხედრო დახმარებისა და საერთოდ, პოლიტიკური მფარველობის საძებლად, მან პრაქტიკული ზომები მიიღო ქართული სტამბის მოწყობისათვის. შვედი მეცნიერის შპარვენფელდის მეშვეობით არჩილმა დაუკვეთა ქართული (ნუსხური) სასტამბო შრიფტის ტიპები ამსტერდამში. შრიფტის გაკეთების საქმეში მონაწილეობა მიიღო ამსტერდამის ქალაქის თავმა ნიკოლოზ ვიტცენმა. ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერი ვიტცენი თვითონ იყო დავალებული არჩილისაგან, რომელმაც მიაწოდა მას ძვირფასი ცნობები წიგნისათვის: „ჩრდილო-აღმოსავლეთი სათათრეთი“. ამსტერდამში ქართული ასოები გააკეთა ცნობილმა „ასოთ-მოქანდაკემ“ კისმა. 1687 წელს ქართული სასტამბო შრიფტი მზად იყო, მაგრამ სწორედ ამავე წელს წამოვიდა მოსკოვიდან საქართველოში არჩილი, თავისი ძმის გიორგი XI-ის მიერ გამოწვეული. ამის გამო ამსტერდამში გაკეთებული შრიფტის ტიპებმა იმ ხანებში არჩილამდის ვერ მიაღწია და შვედი შპარვენფელდი, რომლის მეშვეობითაც ეს საქმე გაკეთდა, იძულებული იყო თან წაეღო ქართული შრიფტის ტიპები სტოკჰოლმში.

1699 წელს არჩილი მეორეთ ჩავიდა მოსკოვს და სამუდამოდ დასახლდა ვსესვიატსკოეში (ამჟამად მოსკოვის გარეუბანი); არჩილმა განაახლა სტამბის მოწყობისათვის ზრუნვა. მამის პოლიგრაფიულ მოღვაწეობაში მონაწილეობას იღებდა არჩილის შვილი ალექსანდრე. ალექსანდრეს სახელი აღბეჭდილია 1705 წლის „დავითნის“ თავფურცელზე: „ჩემ მიერ მეფისა არჩილსა და ძისა ჩემისა ალექსანდრესაი დაიბეჭდა წიგნი ესეო“—ამბობს არჩილი. ალექსანდრე არჩილის-ძე პეტრე დიდის საყრმის ამხანაგი იყო. როდესაც პეტრე დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა, თან წაიყვანა ალექსანდრე და ჰააგაში გაგზავნა საარტილერიო საქმის შესასწავლად. 1699 წ. პეტრემ საარტილერიო მმართველობის ენერგიული სპეციალიზაცია ჩაატარა და პირველ გენერალ-ფელდცეხმეისტერად ევროპულად განსწავლილი ალექსანდრე არჩილის-ძე დანიშნა. მაგრამ ოცდაოთხი წლის გენერალს ბედმა არ გაუღიმა. 1700 წელს შვედებთან ომის დროს, ნარვასთან მტერმა იგი ტყვედ იგდო ხელში. ალექსანდრემ ათი წელი დაჰყო ტყვეობაში, დაავადმყოფდა და ტყვეობიდან განთავისუფლებული, ჩრდილოეთის სასტიკი ზამთრისა და შიმშილობის პირობებში რუსეთისკენ ფეხით მიმავალი გარდაიცვალა პეტებში, 1710 წელს. მხოლოდ 1712 წელს მოახერხა არჩილმა შვილის გვამის მიღება მოსკოვში, სადაც დასაფლავებულია ალექსანდრე.

მეჩვიდმეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ალექსანდრე, არჩილის-ძე ცნობილია როგორც რუსულიდან და ევროპული ენებიდან მთარგმნელი. ტყვეობის მძიმე პირობებში ალექსანდრე თავისი მამის მეგობრის, შვედი მეცნიერის შპარვენფელდის მეშვეობით 1703 წელს ახერხებს შუამდგომლობის აღძვრას, რათა არჩილს გადაუგზავნოს სტოკჰოლმიდან მოსკოვს ამსტერდამში გაკეთებული ქართული შრიფტის ტიპები. მაგრამ ამხანებშივე აკეთებინებს არჩილი ქართული შრიფტის სხვა ლიტერებს და ახერხებს „დავითნის“ გამოცემას 1705 წელს.

ამგვარად არჩილის თავს დატეხილმა ოჯახურმა უბედურობამ, შემდგომ თვით არჩილის დასნეულებამ და სიკვდილმა (მოსკოვს, 1713 წ.) დასაწყისშივე წარკვეთა პირველი ქართული სტამბის მუშაობა მოსკოვში.

საყურადღებოა, რომ 1705 წლის „დავითნის“ გამოცემა მხოლოდ ოთხი წლით უსწრებს წინ არჩილის ძმისშვილის ვახტანგ მე-6-ს მიერ თბილისში მოწყობილი სტამბის წიგნების გამოცემას (სახარება, სამოციქულო, დავითნი—თბილისი 1709).

თუ არჩილის სტამბის მუშაობას მისი ინიციატორის ბედუკუღმართობა პირველსავე გამოცემაზე სწყვეტს, ვახტანგის სტამბა თბილისში, ეს პირველი სტამბა მთელი ამიერ და მიერ-კავკასიის ტერიტორიაზე, 1709-1722 წლებს შუა ქართული პოლიგრაფიის ისტორიის უბრწყინვალეს ფურცლებს შლის. ვახტანგის სტამბის წიგნების დიდი ნაწილი ყველასათვის მისაწვდომი მხედრული შრიფტით იბეჭდება. თბილისში ბიბლიურსა და სხვ. საეკლესიო შინაარსის წიგნებთან ერთად იბეჭდება ქართული საერო პოეზიის უდიდესი ძეგლი — რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი“ (1712 წ.) გამოიცა აგრეთვე სასკოლო სახელმძღვანელოც და მეცნიერული შინაარსის წიგნიც.

მაგრამ მოსკოვში ქართული სტამბის განახლება გადაუდებელ ამოცანად ხდება, ვახტანგი იძულებულია დატოვოს ნანგრევებად ქცეული თბილისი და განათლებულ ქართველთა დიდი ჯგუფის თანხლებით, სამუდამოდ დასახლდეს რუსეთში.

მოსკოვს ჩასული ქართველობა, ვახტანგის მეთაურობით, ენერგიულად შეუდგება არჩილის მიერ წამოწყებული საქმის განახლებას. მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე მოსკოვში სულ სამჯერ ეწყობა ქართული სტამბა: 1705, 1737-1744 და 1762-1768 წლებში.

ქრ. შარაშიძე

ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოფენა

მოსკოვის პირველი ქართული სტამბის მიერ პირველი წიგნის გამოცემიდან ორასორმოცი წლის თავის შესრულების აღსანიშნავად თბილისის კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა აწყობს ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოფენას.

დაბრუნება

(დასასრული)

წყნარი, მოზუზუნე, ცივი ქარი მძიმედ აქანებდა წვიმისაგან დასველებულ ლელს. ჩალა თავს იქნევდა, საიდუმლოდ შრიალებდა.

ასეული სულგანაბული მისდევდა თავის მეთაურს. მებრძოლებს ფეხები ლაფში ეფლობოდათ. სიარული ძნელი იყო.

ადამიანს არაფერი აღელვებს ისე, როგორც ღამის იდუმალებაში უცნობი საფრთხის მოლოდინი. დაძაბულად მომუშავე ტვინს ამ დროს შეიძლება ბევრი რამ მოელანდოს. ეს იცოდა ლეიტენანტმა და ფრთხილობდა არ მოტყუებულიყო.

და, მართლაც, არ მოტყუვდა. ლელის შრიალსა და წვიმის ხმაურობაში ცხადად გაარჩია სხვაგვარი ხმა—წყლის ჩქაფანი და ლელის სულ სხვანაირი შერხევა.

— სდექ!—უბრძანა თავის ასეულს, მერე წინ გადახტა და საეჭვო ადგილს დააკვირდა.

შიში, გაკვირვება და სიხარული, ერთმანეთში აერია მიშას. სდექ!—რუსულად იყო წარმოთქმული.

— არის მანდ ვინმე თუ არა?—იკითხა ლეიტენანტმა.

კილო ნამდვილი უკრაინული იყო; ხმაც თითქოს ეცნო მიშას, მაგრამ ყურს არ დაუჯერა. დარწმუნდა კი, რომ მის წინ გერმანელი არ იყო.

— მე ვარ.

— ვინ შენ.

ხმა უეჭველად ნაცნობი იყო. თითქოს დავიწყებული, მაგრამ მახლობელი.

— დოლუენკო,—თქვა მიშამ.

— როგორ თუ დოლუენკო! გამიდი, დამენახვე ხმაზე გცნობ. მიშა ხარ.

— პეტრო! მეც ხმაზე გიცან.

უმცროსი ძმა ყელზე ჩამოეკიდა უფროსს.

— აქ რა გინდა?—ჰკითხა პეტრომ.

— თქვენთან მოვდიოდი, შენა?

— მე ასეული მომყავს, სოფელში გერმანელებს თავს უნდა დავესხათ, რა ამბავია, სოფელში წეღან რა იწოდა?

— ჩვენი სახლი. წავიდეთ, გზაში გიამბობ ყველაფერს. დრო არ ითმენს.

ლეიტენანტმა თითქოს მშვიდად მოისმინა ძმის ნაამბობი. მიშას უკვირდა ძმის ეს სიმშვიდე.

ერთ ხანს ჩუმად მიდიოდნენ. დუმილი პეტრომ დაარღვია.

— გეცოდინება, სადა აქვთ საცეცხლე წერტები, სად უდგათ არტილერია. დაწვრილებით მიამბე.

მიშამ ყველაფერი უამბო მართლაც დაწვრილებით.

— ყოჩაღ!—შექო ძმამ, ბიჭს გაეხარდა ქება. მიშა ამაყობდა, რომ ასეთი ძმა ჰყოლია, რომელსაც ასეთი დიდი საქმე დაავალეს, რომ მის განკარგულებაშია ჯარი, იარაღი.

სოფლის მახლობლად ლეიტენანტმა თავისი რაზმი შეაჩერა.

შუაღამე გასული იყო, სოფელი დაწყნარებულიყო, თითქოს ძილს მისცემიაო, მაგრამ ეს ძილი არ იყო, ეს იყო შეშინებულის განაბვა.

ხანძრის სუნი, წვიმისაგან დასველებულ ღველფს რომ ასდიოდა ხაშუმ-ხაშუმად მოჰქონდა ქარს. ლეიტენანტის ყნოსვა იჭერდა ამ სუნს.

როცა ყველას თავ-თავისი ალაგი მიუჩინა ლეიტენანტმა, ერთხელ კიდევ შემოუარა სოფელს, ყველაფერი შეამოწმა და მთავარი ძალებისაკენ წავიდა, მდინარის ნაპირზე, მტრის საცეცხლე წერტების პირისპირ რომ ჰყავდა ჩასაფრებული.

V

რბილად დარტყმის ხმა გაისმა ბნელ ბაღში. ხმა მოკლე იყო, შემკრთალი, თითქოს ფუტფურომ გამოსცა. კონდახმა ცხვირ-პირი ჩაულეწა გუშაგს. გუშაგი დატორტმანდა და არც კი დაუკვნესია ისე დაეცა ტალახიან ბილიკზე.

წიხლმა შეამტვრია კარი, შეაზანზარა შენობა. ორი ხელყუმბარა ერთად შეიფრინდა შტაბის ოთახში და აფეთქების ხმამ გრგვინვით გაიარა მთელი სოფელი.

ლეიტენანტი დოლუენკო სიხარულით შეხტა ერთ ადგილას.

— ყოჩაღ ბიჭებო!

სოფელში სროლა ატყდა. გერმანელები გაოგნებულნი დარბოდნენ, რაღაცას ყვიროდნენ, უთავბოლოდ ისროდნენ.

ლეიტენანტი გამალებული დარბოდა. არაფერს ერიდებოდა, ყველგან იყო, ყველგან ასწრობდა. ავტომატი მომარჯვებული ჰქონდა და გააფთრებული, დაუნდობლად ხოცავდა გერმანელებს.

მზე ჯერ არც კი იყო სრულად ამოსული, როცა დაღლილი, გაოფლიანებული, ტალახსა და თოფწამლის ბოლში მოსვრილი ლეიტენანტი დოლუენკო უკვე ნელი ნაბიჯით მიდიოდა სოფლის მთავარ გზაზე.

ბრძოლა დამთავრებული იყო.

ლეიტენანტმა დაამწკრივა თავისი ასეული, გადახედა და გადათვალა.

ასოცი წამოიყვანა და ახლა ას ოცდაერთი დაითვალა. ეს ასოცდამეერთე მიშა იყო.

— დაიშალენით,—უბრძანა მებრძოლებს და თავისი სახლის ნახანძრევთან მივიდა.

დედა და მარინე მიეგებნენ:

— მე არა ვტირი, შვილო, არა ვჩივი სახლსა და ქონებას, შენა გნახე გამარჯვებული!

ვიაჩესლავ შიშკოვი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი რუსი მწერალი ვიაჩესლავ იაკობისძე შიშკოვი. მისი სახით რუსულმა მწერლობამ დაკარგა ცხოვრების დიდი გამოცდილებით, რუსი ხალხის აწმყოსა და წარსულის ღრმა ცოდნით აღჭურვილი მწერალი. 45 წლის იყო შიშკოვი, როცა მან თავისი პირველი მოზრდილი მხატვრული ნაწარმოები „ტაიგა“ გამოაქვეყნა. ეს მოხდა 1917 წელს და ამ დროიდან დაწყებული იზრდებოდა და მტკიცდებოდა მისი მხატვრული შემოქმედება. გარდა ზემოხსენებულ ნაწარმოებისა, შიშკოვის კალამს ეკუთვნის მკითხველთა შორის ამჟამად ძალზე პოპულარული ნაწარმოებები — „ვატაგა“ „ტბა პეიპუსი“, „უგრიუმ-რეკა“, „პროხინდეი“, „ამაყი გვარი“ და ისტორიული რომანი „ემელიან პუგაჩოვი“.

ამ ნაწარმოებებში მაღალი მხატვრული ოსტატობით და პატრიოტული მგზნებარებით არის ასახული რუსეთის თანამედროვე და წარსული ცხოვრება. შიშკოვმა დახატა დაუვიწყარი სურათები ოქტომბრის რევოლუციის მიერ გარდაქმნილი რუსეთისა. რომან „ვატაგაში“ იგი აგვიწერს ციმბირელი გლეხობის თავგანწირულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ხოლო „ტბა პეიპუსში“ — ბრძოლას ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის პსკოვის და მის მოსაზღვრე ოლქებში. ორივე ეს ნაწარმოები, — აღნიშნავს მწერალი კ. ფედინი — დაწერილია ფუნჯის ისეთი შეუცვლელი მოქნევით, როგორც ეს შეეფერება მასში ასახული ამბების გაქანებას.

შიშკოვი არის აგრეთვე რამდენიმე იუმორისტული მოთხრობის ავტორი, რომელშიც ღრმა ჩაწვდომით ხატავს მებრძოლ და გამრჯელ, მუდამ მხნესა და გაუტეხელს, სიცოცხლის ღრმა მოყვარულს რუს ადამიანებს, რომლებმაც იციან შრომაცა და მხიარულობაც. შიშკოვის მიერ რუსული ყოფაცხოვრების ღრმა ცოდნამ თავი იჩინა განსაკუთრებული სიძლიერით მის „უგრიუმ რეკაში“. ის, ვისაც სურს ღრმად ჩაწვდეს ციმბირის ისტორიის სიღრმეს, — ამბობს იგივე კ. ფედინი, — იგი გვერდს ვერ აუხვევს ვ. შიშკოვს.

დასასრულ, შიშკოვმა ხელი მოჰკიდა ისტორიულ რომანის წერას, ემელიან პუგაჩოვის, როგორც რუსული გმირული ხასიათის შემცველი სახის გამოკვეთას. ამ ნაწარმოებში შიშკოვი დარჩა თავისი ნიჭისა და თავისი მხატვრული თვალის ერთგული: იძლევა რა ხალხური რევოლუციის გულმოდგინე მხატვრულ აღწერილობას, ვ. შიშკოვი გასაოცარი სიზუსტით აღადგენს მკითხველის თვალწინ მე-18 საუკუნის ვოლგის მხარის ხალხთა ყოფაცხოვრებასა და ზნეჩვეულებას. სამწუხაროდ ეს შესანიშნავი რომანი, რომლის პირველი ორი ნაწილი გამოქვეყნდა, ავტორს დაუმთავრებელი დარჩა.

განსაკუთრებული დაძაბულებით მუშაობდა ვ. შიშკოვი სამამულო ომის წლებში, 1941 და 1942 წელს ჭაბუკური ენტუზიაზმით განაგრძობდა მუშაობას რომან „ემელიან პუგაჩოვზე“, ამავე დროს, ბლოკადის მძიმე პირობებში იგი აქტიურად მონაწილეობდა გარემოცული ლენინგრადის ცხოვრებაში: სწერდა მოთხრობებსა და სტატიებს საფრონტო გაზეთისათვის, გამოდიოდა რადიოში, წითელარმიელთა კლუბებში, ოფიცერთა კრებებზე სიტყვით, მოთხრობებით, სტატიებით.

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა ვ. შიშკოვის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა — დააჯილდოვა იგი ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლით „ლენინგრადის დაცვისათვის“.

ვ. შიშკოვი დაკრძალულ იქნა მოსკოვში, „ნოვო დევიჩიეს“ სასაფლაოზე მწერალ ა. ნოვიკოვ-პრიბოის და ეხლახან გარდაცვლილ ალექსი ტოლსტოის საფლავების გვერდით.

ნ. ბარათაშვილის დედის წერილი

ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის—ეფემიას სამი ბარათი ჩვენ გამოვაქვეყნეთ 1938 წლის ჟურ. „მნათობის“ მე-12 ნომერში. ერთი წერილი დაბეჭდა პოეტმა და მკვლევარმა ი. გრიშაშვილმა ნ. ბარათაშვილის 1939 წლის გამოცემაში.

ქვემოთ მოთავსებული წერილი ეფემიას დღემდე ცნობილ ბარათებიდან ყველაზე უფრო გვიანდელია. დათარიღებულია იგი 1844 წლის 15 სექტემბრით და მიმართულია ძმის, ზაქარია ორბელიანისადმი.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ნ. ბარათაშვილის აღზრდაში და ხასიათის გამომუშავებაში ეფემიამ უდიდესი როლი ითამაშა, მაშინ ადვილი გასაგები იქნება მნიშვნელობა პოეტის დედის ყოველი ეპისტოლისა.

აი თვით წერილის ტექსტიც:

„ჩემო სიცოცხლევ ძმაო ზაქარიავ!

მომილოცავს ხელმწიფის მოწყალება—პოლკოვნიკობა, ღმერთმა ინებოს ღენერლობაც მოგილოცოთ. ძმაო, ჩემო სიცოცხლე, ამასწინათ ფული გებოძებინა ჩემი ქალის კატოს საჩუქრად, ათი თუმანი ქალაქის ფული თეთრი მანეთი. მაშინვე მადლობის წიგნი მოგართვი და ყოველივე ამბავი ჩემის ქალის გათხოვებისა. იმითო სცნობდი. არ ვიცი მოგერთვა თუ არა. პასუხი ვერა მივიღე რა ძმაო.

ახლა ერთი სიტყვით მოგახსენებ. დიდი ამბები გადამხდა ჩემის ქალის გათხოვებაზედ, ღვთის მოწყალებით კარგი მზითევი მივეცით, რაც ჩემისთანას თავადის შვილს შეეფერებოდა, ასი თუმნის თამასუქი გამოვართვი ერთი წლის ვადით, მაგრამ ძმაო, თუ ეს თამასუქი არ ყოფილიყო, საქმე ავათ მიდიოდა.

ძმაო ჩემო სიცოცხლევ. ასეთ დროს მომივიდა შენგან ფული, შენმა სიცოცხლემ ის ოცი თუმანი ასი თუმნის ალაგას მოვიხმარე. ზაქარიავ, მაინც შენა ხარ ჩემი სიცოცხლე, ღმერთმა ნუ მომაკლოს შენი სიცოცხლე, ღმერთმან მრავალი იმისთანა შეგაძლებინოს. მე ამის მეტი არა შემიძლიარა, ყოველთვის ღმერთსა ვთხოვ შენ სიცოცხლეს

ამაზე კი გემდური ზაქარიავ როდის ხან შენის წიგნით არ მასიამოვნებ ხოლმე, იმდენი სიცოცხლე გქონდეს ზაქარიავ, რამდენი კატო წაყვანაზე შენა გნატრობდა. მალ-მალ მეტყოდა ჩემი კატო—ნეტავის ერთი ზაქარიას ნახვა მღირსებოდა. მე ძალიან შემაწუხა იმისმა მოშორებამ, ასე რომ თვალთ სინათლე დამაკლდა ბევრის ცრემლისაგან. ყოველთვის წიგნი მომდის ჩემის კატოსი, დიდ სიამოვნებას იწერება, მაგრამ ეხლა, როცა ჩემი სიძე ძალიან ავად ყოფილა, ასრე რომ სიკვდილს გადარჩენილა.

ანთიმოზისაგან ჯოხაძე იქ იყო ჩემს კატოსთან, იქაურ ამბავს ეგ მოგახსენებს. ძმაო ზაქარიავ, გრიგოლმა ასე დამიწყვა, რაც წასულა, ერთის წიგნით არ გავხსენებივარ, შენმა სიცოცხლემ ერთჯერაც მიეწერე წიგნი, არც ერთხელ არ მახსენა. მართლა ბევრს საქმეში იქნება, მაგრამ ხანდახან ჩვენც უნდა მოვაგონდეთ, ქალაქი სავსეა იმის მიწერილის წიგნებით. იცოცხლე ძმაო, ქვეყანაზე ბედნიერად იყავით, მე იმის მეტი არა მინდარა. სხვა ჩვენი ამბავი რაღა მოგწეროთ, ვართ ცოცხლები.

ამ წიგნის წერაში სანდრო აქ არის, დიდი ყოფა აქვს, სათარას აჯავრებს, უცხო ბიჭია, რომ ნახო გიამება.

ჩემმა ქალებმა სიყვარულით მოგიკითხეს. ამ ჟამად ბატონიშვილი აქ არ არის, კახეთს არის თავის ქალთან, ნინოსთან, ძალიან ავათ ყავს ნინო ცხელებისაგან.

შენი და ეფემია ბარათოვისა.

შენმა სიძემ სიყვარულით მოგიკითხა, ავათ არის თავის სნეულებისაგან.

სექტემბრის 15-სა
1844 წ.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის წერილის დედანი დაცულია საქართ. მუზ. ხელთნაწერთა განყოფილებაში, საბუთი S-d № 1872.

იაკობ გალახაშვილი

საზღვარგარეთ

ფილმი „კუტუზოვი“ ამერიკაში

ამერიკელ მაყურებელთა შორის უდიდესი წარმატებით სარგებლობს საბჭოთა ფილმი „კუტუზოვი“, რომელიც გადის სახელწოდებით „1812 წელი“.

მრავალრიცხოვანი რეცენზიები, რომელნიც ქვეყნდება ამერიკულ პრესაში, ხაზს უსვამენ ფილმის შემეცნებით მნიშვნელობას. ფილმი, — სწერენ რეცენზენტები, — გვაცნობს ერთ უმნიშვნელოვანეს ფურცელს რუსეთის ისტორიისას.

ამ საბჭოთა ფილმში უდიდესი ბრძოლა, რომელსაც თან მოჰყვა ნაპოლეონის დაცემა, წარმოდგენილია უდიდესი რეალისტური ხილვით და ძლიერი დრამატიზმით, — წერს გაზეთი „ფილმ დეილი“.

ამერიკული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს რეჟ. ვ. პეტროვის და ოპერატორ მ. გინდინის მუშაობას. კრიტიკოსთა უმრავლესობა განსაკუთრებით აღნიშნავს ა. დიკის (კუტუზოვი) და ს. მეჟინსკის (ნაპოლეონი) აქტიორულ ოსტატობას.

პარიზის ხელოვნების აღორძინება

პარიზში კვლავ დაიწყო აღორძინება ხელოვნებამ. მხატვრობისა და სკულპტურის სალონში „ოცდაათ წელზე ახალგაზრდა მხატვრები“ — გამოფენილ იქნა 115 ნამუშევარი, — მათ შორის მრავალი ნიჭიერად შესრულებული, რაც იმას მოწმობს, რომ ომის წლებში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი გაიზარდა.

პარიზის თეატრებმა განაახლეს თავიანთი მუშაობა. ოპერის დიდმა თეატრმა სეზონი გახსნა „ბორის გოდუნოვის“ დადგმით. თეატრმა „მიშელ“-მა თავისი პირველი სპექტაკლის მთელი შემოსავალი გადასცა წითელ ჯვარს. კვლავ გაიხსნა პიგალის თეატრი, სადაც მიდის ეგრედწოდებული „სპექტაკლები—მოკავშირეებს“. ამ თეატრში მონაწილეობს კომედიის ბევრი ცნობილი აქტიორი. მუშაობა დაიწყეს გრამონის და მრავალმა სხვა თეატრმა.

პარიზელები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა მუსიკისა და საბჭოთა საფრონტო ფილმებისადმი. პიანისტ ლიუსეტ დესკავის კონცერტი შესდგებოდა ს. პროკოფიევის ნაწარმოებისაგან. ს. პროკოფიევის მუსიკა შეტანილია აგრეთვე რადიოგადაცემის პროგრამაში. პარიზის ეკრანებზე უდიდესი წარმატებით სარგებლობენ საბჭოთა ფილმები: „ომის დღე“, „ლენინგრადის დაცვა“, „სტალინგრადი“. პარიზის გაზეთები აქვეყნებენ მკითხველთა წერილებს თხოვნით, რაც შეიძლება მალე გააცნონ ფრანგ ხალხს ომის პერიოდში შექმნილი საბჭოთა ხელოვნების ნიმუშები.


მეტეხი. ლინოგრავიურა შ. ბერძენიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ქ. გორი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ქრონიკა

„სიცოცხლის ძალა“

დრამატურგმა ლევან გოთუამ დასწერა პიესა „სიცოცხლის ძალა“. პიესის სიუჟეტი აღებულია წითელფლოტელთა ცხოვრებიდან. იგი გვიხატავს საბჭოთა პატრიოტების შეუპოვრობას ბრძოლაში და საბჭოთა მეომრის უდიდეს ამტანიანობას განსაცდელის დროს.

წყალქვეშა ნავი „კოლხი“ დაზიანდება, იგი დაეშვება ზღვის ფსკერზე და დაჰკარგავს კავშირს თავისიანებთან. ეკიპაჟს ელევა სურსათი, ჟანგბადი, იქმნება აუტანელი მდგომარეობა, სიკვდილი თითქოს თვალებში ჩასცქერის მეზღვაურებს, მაგრამ ისინი სასოწარკვეთილებას არ ეძლევიან, იმედს არ ჰკარგავენ, რომ მათ მალე უშველიან და დაღუპვას გადაარჩენენ.

ამ ფონზე ქმნის დრამატურგი მძაფრ ფსიქოლოგიურ კოლიზიას.

პიესა დასადგმელად მიიღო მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა. მას სდგამს რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი, დეკორატიულად აფორმებს პროფ. დ. კაკაბაძე, მუსიკას სწერს კომპ. ა. კერესელიძე. მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები: ს. ზაქარიაძე, პ. კობახიძე, მ. სარაული, შ. გოცირიძე, მ. ქორელი, ნ. კონტრიძე, კ. დაუშვილი, ი. ქოქრაშვილი, ა. გომელაური.

თეატრს განზრახული აქვს სპექტაკლი უჩვენოს მაყურებელს მაისის პირველ ნახევარში.

საბავშვო ლიტერატურის სექციაში

საბავშვო ლიტერატურის სექციაში პოეტმა მარიკა მიქელაძემ წაიკითხა საბავშვო პოემა „თეთრი სახლი“. პოემა სამამულო ომის თემაზეა დაწერილი, იგი ასახავს გერმანელთა სიმხეცეს უკრაინის სოფლებში და უკრაინელ ბავშვთა გმირობას. პოემა დაწერილია უფროსი ასაკის ბავშვთათვის.

პოემის წაკითხვის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ს. თავაძემ, ლ. გოთუამ, ნ. ჩხეიძემ, ა. თევზაძემ, ა. ლომიძემ, მ. ბარათაშვილმა, ნ. ჩაჩავამ და ერ. ასტვაცატუროვმა. მათ აღნიშნეს, რომ „თეთრი სახლის“ სიუჟეტი საინტერესოდ ვითარდება და მხატვრულადაც კარგად არის დაწერილი. ეს პოემა, კამათში გამოსული ამხანაგების აზრით, მხატვრული დამუშავებით გაცილებით მაღლა დგას იმავე ავტორის ახლახან გამოქვეყნებულ საბავშვო პოემაზე „ტანია“.

ამასთან აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილე ამხანაგებმა ავტორს მისცეს ზოგიერთი მითითება პოემის შესწორების მიზნით.

ტყიბულის მომღერალ-მოცეკვავეთა ეთნოგრაფიული გუნდი

ტყიბულში ჩამოყალიბდა მომღერალ-მოცეკვავეთა ეთნოგრაფიული სარაიონო გუნდი, რომელსაც ამხ. ზ. მიქელაძე ხელმძღვანელობს. ამას წინად გუნდმა ტყიბულის ლ. ბერიას სახელობის სახელმწიფო თეატრში მოაწყო პირველი კონცერტი, შესრულებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერები და ცეკვები.

შრომა თანამედროვე ქართულ ფოლკლორზე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. გიორგი სამხარაძემ დაამთავრა ვრცელი შრომა თანამედროვე ქართულ ფოლკლორზე. მასში თანმიმდევრულად განხილულია შემდეგი თემატიკური საკითხები: ქართული პოეტური ფოლკლორის ბუნება; ისტორიული და საბჭოთა ეპოქის ზეპირსიტყვიერება; თანამედროვე ფოლკლორის იდეური, ფორმალურ-სტილისტური და სოციალ-ესთეტიკური თავისებურება; საქართველოს ოქტომბერი ქართულ პოეტურ ფოლკლორში; ხალხური ლექსები და სიმღერები განახლებულ და აყვავებულ საქართველოზე, **ლენინ-სტალინის** პარტიაზე, დიდ **სტალინზე,** ქართველი ხალხის საამაყო შვილზე **ლ. პ. ბერიაზე;** სამამულო ომის თემა თანამედროვე ზეპირსიტყვიერებაში.

შრომაში ფართოდ და ვრცლად არის გარჩეული ამხანაგ ლ. პ. ბერიაზე შექმნილ ხალხურ ნაწარმოებთა სტილი, გამომსახველობითი ხერხები, პოეტური სამკაულები.

ავტორს განზრახული აქვს დაბეჭდვამდე თავისი შრომა წაიკითხოს ქუთაისის მეცნიერ მუშაკთა და მწერალთა წრეში.

ქუთაისის თეატრში

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა კ. გოგიაშვილის ზღაპარი „ფარავნელი ჭაბუკი“. პიესა დადგა რეჟ. ს. ოყრეშიძემ, დეკორატიულად გააფორმა გ. ფოცხიშვილმა, მუსიკა დასწერა კომპ. ვ. კურტიძემ, მთავარ როლებს ასრულებდნენ: თ. კიკნაძე და თ. ჯობაძე (რუსუდანი), მ. ფხაკაძე (მეფის ასული), დ. ტორონჯაძე (რამაზი), პ. უგრეხელიძე (ნოდარი), ნ. ჩიქვინიძე (ოქროპირი), ვ. გვენეტაძე (მეფე), გ. კოკელაძე (ყარამანი), კ. აბესაძე (ყაფლანი).

ამჟამად თეატრი ამზადებს ს. შანშიაშვილის დრამას „ხევის ბერი გოჩა“, რომელსაც სდგამს რესპ. სახ. არტისტი დოდო ანთაძე. დეკორატიულად აფორმებს მხატვარი ს. ნადარეიშვილი, მუსიკას სწერს პროფ. კ. მეღვინეთუხუცესი.

ხაშურის თეატრი

მიმდინარე წლის იანვრიდან ხაშურში დაარსდა სახელმწიფო თეატრი. თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნულია რეჟისორი ოთარ ალექსიშვილი. დასი ძირითადად შესდგება ახალგაზრდა მსახიობებისაგან, რომელთაც დამთავრებული აქვთ თეატრალური ინსტიტუტი და დრამატიული სტუდიები.

თეატრის ცალკეულ დადგმებზე იმუშავებენ თბილისის თეატრების რეჟისორები: ვ. ყუშიტაშვილი, გ. ტოვსტონოგოვი და გ. სულიაშვილი. თეატრის მთავარ მხატვრად მუშაობს არ. ჟორდანია.

სეზონი გაიხსნება 15 აპრილს ი. ტურიაშვილის პიესით „კავკასიის მთებში“.

მოძმე რესპუბლიკებში

ლერმონტოვი ლატვიურ ენაზე

რიგაში გამოვიდა ლერმონტოვის თხზულებათა მეორე ტომი ლატვიურ ენაზე. ეს წიგნი მზად იყო ჯერ ისევ 1940-41 წლებში, მაგრამ მის დაბეჭდვას ხელი შეუშალა ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური ურდოების ვერაგულმა თავდასხმამ.

ამ ტომში შესულია პოეტის შემდეგ ნაწარმოებთა თარგმნები: „ჩვენი დროის გმირი“, „ვადიმი“, „ორი ძმა“, „მასკარადი“ და სხვ. თარგმანები შესრულებულია რუდოლფის და კარლ ეგლეს მიერ. ზოგიერთი ამ ნაწარმოებთაგან ლატვიურ ენაზე პირველად ქვეყნდება.

„რუსი ადამიანები“ ტალინის თეატრში

გერმანელმა ბარბაროსებმა ესტონეთის დროებითი ოკუპაციის წლებში სცადეს გაენადგურებინათ ესტონეთის კულტურა. მათ მოჰკლეს გამოჩენილი ესტონელი მხატვრები —ლაიგო, როზილეხტი, იოჰანი. დამპყრობლებმა ესტონეთიდან გაიტაცეს ხელოვნების ორი ათასზე მეტი ნაწარმოები. მათ დაანგრიეს ტალინის უდიდესი თეატრის შენობა.

განთავისუფლებისთანავე რესპუბლიკის კულტურის ოსტატებმა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა დაიწყეს. ტალინის თეატრში დიდი წარმატებით იქნა განხორციელებული კ. სიმონოვის პიესა „რუსი ადამიანები“. სპექტაკლმა განუზომელი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე.

„სირანო დე ბერჟერაკი“ უკრაინულ ენაზე.

სტალინური პრემიის ლაურეატმა, პოეტმა მაქსიმ რილსკიმ უკრაინულ ენაზე გადათარგმნა ედ. როსტანის გმირული კომედია „სირანო დე ბერჟერაკი“. თარგმანში დაცულია ალექსანდრიული ლექსი, რომლითაც ეს კომედია დაწერილია დედანში. „სირანო დე ბერჟერაკს“ სდგამს ზანკოვეცკაიას სახელობის თეატრი ლვოვში.

ტაშკენტის დრამის თეატრის 25 წელი

31 მარტს უზბეკი ხალხი ზეიმობს თავისი საყვარელი თეატრის—ლენინის ორდენის ხამზას სახელობის დრამის აკადემიური თეატრის 25 წლისთავს.

ეს პირველი უზბეკური თეატრი წარმოიშვა სამოქალაქო ომის დროს. თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა უაღრესად დიდი მუშაობა ჩაატარა 25 წლის მანძილზე და შექმნა უზბეკური თეატრალური კულტურის მდიდარი ტრადიცია.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა თეატრის კოლექტივი სამამულო ომის დღეებში. თეატრმა დიდი სიყვარული დაიმსახურა ტაშკენტის მცხოვრებთა შორის. ახლა ტაშკენტის ეს თეატრი ერთ-ერთ მოწინავე თეატრად ითვლება ჩვენს კავშირში.

ალიშერ ნავოის გამოუქვეყნებელი პოემა.

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. ბერტელსმა დაამთავრა დიდი მეცნიერული ნაშრომი: „ალექსანდრე მაკედონელი (ისკანდერი) აღმოსავლეთურ პოეზიაში“. ამ ნაშრომში პროფ. ე. ბერტელსმა პირველად შეისწავლა ალიშერ ნავოის გამოუქვეყნებელი პოემა ალექსანდრე მაკედონელზე — უკანასკნელი დიდი ნაწარმოები სახელოვანი პოეტისა.

ეს პოემა უდიდეს ინტერესს იწვევს არა მარტო მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, არამედ იმავე დროს როგორც ძვირფასი ძეგლი შუა-საუკუნეების აღმოსავლეთის ყოფის და იდეოლოგიის შესასწავლად.

ესტონეთის მუსიკალური სასწავლებლები

ესტონეთის რესპუბლიკაში აღდგენილია ომამდე მოქმედი ყველა მუსიკალური სასწავლებელი. ამასთან გახსნილია დაწყებითი მუსიკალური სასწავლებლები შემდეგ ქალაქებში: ვილიანდაში, რაკვერეში და სხვ. სკოლებში ჩაბმულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობა შეადგენს 1075 კაცს.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი,
გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 13. ტელეფონი 3-47-10. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
უე 00273
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.